ფასი 20 კაპ.

აჭარისტანი

გაცხადების ფასი:
ერთი გვერდი . . . . 100 მან.
ნახევარი გვერდი . . . 50 მან.
მეოთხედი გვერდი . . . 30 მან.
მასალები და ფულები გამოგზავნილ უნდა იქ-ნას შემდეგი მისამართით:
ბათომი, ქართული შეს. № 16. გრ. ნუცუბიძეს.

№ 2 ყოველთვიური სამხატვრო-საილუსტრაციო ჟურნალი თეგერვალი, 1926 წ.

წინ, ლენინიზმის გზით!

ლენინის გარდაცვალებიდან 2 წლის თავზე.

სერგეი ესენინ.

ბარათი ქალისადმი.

თქვენ გახსოვთ,
თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ
როგორ ვიდექი
კედელთან ახლოს:
აღელვებული დადიოდით მაშინ ოთახში
და რაღაც მწვავედ
მე მომახალეთ.

ასე ამბობდით:
დროა დავშორდეთ,
რომ ჩემ სიცელქით
თქვენი სიცოცხლე ძრწის;
რომ თქვენი ბედია საქმიანობა
ჩემი კი—
უფრო დაეშვა ძირს.

იცით ძვირფასო!
თქვენ არ გიყვარდით.
თქვენ არ იცოდით, რომ მე სხვებთან შედარებით
თამამ მხედარით
როგორც ცხენი გადავიჩეხე.

მაგრამ ეს მჯერა—
თქვენ არ იცოდით:
მე ირგვლივ გრიგალს მისთვის ვირტყამდი,—
რომ არ ვიცოდი, ცხოვრების ნამქერს
საით მივყავდი.

ასე მახლობლად
ვერ ერკვევა სახე და პირი.
უმჯობესია, უკეთ მოსჩანს შორი მანძილით,
როდესაც ღელავს ზღვის ზედაპირი,
ხომალდი მაშინ საშიშროებით არის ავსილი.

მიწა—გემია!
და თან ვიღაცამ ეს დრო პატარა
გამოიყენა:
ახალ სიცოცხლით ქარს და ნამქერში
გემი უშიშრად ჩამოატარა.

მაგრამ მითხარი მაშინ ჩვენ შორის
რომელი ერთი
არ ჩაიკეცა ისე ვით ფარჩა?

აღარ იშფოთა, აღარ იკვნესა
და თანაც გემზე უვნებლად დარჩა.

მაშინ კი მე
როცა ჩემ ირგვლივ ხმაური რბოდა;
გემის სიღრმეში ჩავეშვი უფრო
რომ არ მესმინა წყევა და ბოდვა.

რუსულ ყაიდის სამიკიტნო
დამიხვდა იქა....
ვემთხვიე ჭიქას
და რომ არ ჩამდგომოდა ტანჯვა თვალებში
ეს გადავსწყვიტე:
საბოლოოდ დავმხრჩვალიყავ მე სიმთვრალეში.

კეთილო ჩემო!
მე თქვენ გაწამეთ.
ჩამოგიყენეთ ფიქრი და ჯავრი!
რადგანაც წამებს
თქვენ წინ უსირცხვოთ
ასე უტიფრად ღვინით ვხარჯავდი.

მაგრამ ეს მჯერა
თქვენ არ იცოდით:
მე ირგვლივ გრიგალს მისთვის ვირტყამდი
რომ არ ვიცოდი, ცხოვრების ნამქერს
საით მივყავდი.

ეხლა კი ჩემთვის დროა სხვაგვარი
სხვა გვარად ღელავს ფიქრების ყანა
და ასე ვამბობ:
ქება მესაჭეს
რომელმაც ასე აქ მოგვიყვანა.

დღეს მე
რატომღაც მომეხვიენ რბილი გრძნობები:
მე მაგონდება თქვენი ტანჯვა ფერმკრთალი, სახტი—
და მიტომ ვჩქარობ, მინდა გაცნობო
როგორი ვიყავ, როგორი გავხდი.

იცით ძვირფასო!
ესაა ხვედრი:
მაშინ მე დავრჩი გაუბზარავი
და ეხლა კი მე საბჭოებს გვერდით
ყველაზე ნაღდი ვარ თანამგზავრი.

ეხლა მე სხვა ვარ
და არ მინდა ისევ გავშავდე.
თავისუფალ და ნათელ შრომისთვის
მზად ვარ წავიდე თუნდ ლამანშამდე.

მაგრამ თქვენ კი ხომ უსათუოდ
ხართ სულ სხვა გვარი.—
გვერდით მიგყვებათ მეტად დინჯი, ჭკვიანი ქმარი...
ჩვენი მიზნები ხომ სრულიად არაფრად გიჩანთ,
მეც კი ხომ თქვენთვის აღარ ვღირვარ და აღარ ვქმარი.

იცხოვრეთ ისე ქალბატონო, როგორც გინდოდეთ.
თუნდ ჩვენ წარსულის მოგონებას მთლად დაეხსენით.
გიგზავნით ბარათს
თქვენი ერთგული
და მეგობარი სერგო ესენინ.

მთ—ლი ვ. გაბესკირია

ქალი... ქარი...

ქალო, მთის წვერზე შეგნიშნე,
რომ ეშვებოდი ფერდობით,
შენ ოღონდ ერთი მენიშნე,
და მეც უსიტყვოდ გენდობი!

მწუხრზე რა შენი საქმეა
მოსდევდე კიბე-კიბესა?
ეს მხოლოდ ზღაპრად ნათქმია:
„მკვახეს ესროდენ მწიფესა“!..

ცას რომ ღრუბელი აწყდება,
მე გულს მაწვება მძიმედ!
ეჰ, ვგრძნობ, რომ ქარი არ სცხრება
და მეც ფრთამ დამაიმედა:

წამოვალ სწრაფი ფრენითა,
როგორც მაღლიდან ალალი,
წვიმამ ამიკლოს დენითა,
მთის თხემზე ნასახლ-კარალი...

დე, ანიაღვრდეს მიდამო
და აღვართქაფდენ ტბორები!
მე ქარს დავყივლებ მთიდანა:
„ცივად ნუ ეამბორები!..

ქარი ფაფარს შლის და მიჰქრის,
არც კი სჩანს მისი სავალი...
მე ტყეც თავს მდაბლად დამიხრის
და მთაც, ნისლთ ნაკარნავალი...

ქარი ჰქრის... ის ქალს თმებს უწეწს,
მთით რომ ჩამოაქვს სურები,
მე თვალში ვისრეს ცრემლთა ძეწკვს
და კვლავ წინ გავიყურები...

ქარი მძულს!.. ქალი კი მიყვარს!..
მთებს ვეკონები უბეში...
ხელს ვუქნევ არა ერთ მყინვარს,
სევდა რომ იპყრობს, უხეში!..

აპარხლებული ლოყები
მე ცისკრის დროშა მგონია,
სიამით ხოტბას მოვყვები,
ხმა ხმისთვის განმიწონია:

„ეი, რომელი კუთხის ხარ,
ან სად გეგულვის წყარონი?!
გამოდი, მკერდში მიმიკარ,
თუ გსმიან უსახლკარონი!..

არ ვითხოვ შვებრალებასა,
მთაში ზღვა ჩემი გულია,
შეიტკბობს ნება-ნებასა,
სად გრძნობის ნაკადულია!..

ატალკვესების აჟური
ალიელივების ფონია,
ვარ გრძნობის ცხელი ნაჟური,
თუ რომ შენც გაგიგონია!..

გამოდი, ქალო, გამოდი;
შორით ამ ხვეწნით გეხები,
დაგიცდი აქ საღამომდი,
თუ არ ამისხლტა ფეხები...

ღამით კი მე თვით წამოვალ,
ბინდ-ბუნდს მოვისხამ თექათა,
ქარს გამოვყვები კვალ და კვალ;
ვიქცევი ლოცვა-ჭექათა!..

ახლა მე თვალი გამიტყდა
შენზე შორიდან მზერითა,
მაშინ კი შენ გყოფ ღამიდან
ცისკრამდე გულის ძგერითა!..

ცისკარზე გესვრი ნაპერწკლებს,
აგაგზნებ ცეცხლის ალითა,
დაგწვავ და ვეტყვი მრავალს წლებს:
„ველარ იხილავთ თვალითა“!..

ნ. ხიტალეთელი.

საბჭოთა სინამდვილე და „ჯაყოს ხიზნები“.

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს მიხ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ ნაწარმოების მხატვრულ მხარეების განხილვა, მისი ლიტერატურულ ღირებულების შეფასება. ჩვენ გვსურს მუშა და გლეხ მკითხველთა ყურადღება მივაპყროთ ერთ გარემოებას, რომელიც თვით ავტორის მიერ სუსტათ არის გაშუქებული და რაც ამავე დროს საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი საბჭოთა სოფლის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაზე.

ამ რომანში გამოყვანილია ქართველ ინტელიგენციის ტიპი, რომელიც ვერ შეურიგდა მოულოდნელად კარზე მომდგარ ახალ ცხოვრებას, შეაჩვენა და წყევლა-კრულვით შორს გადაისროლა ძმობა-ერთობის და თავისუფლების იდეალები, რომლებსაც უწინ თვითვე უკმევდა გულდრეკს, რასაკვირველია, სიტყვით და არა საქმით. როცა დაემხო მეფის ტახტი, ჩვენი უბადრუკი „რევოლიუციონერი“, თეიმურაზ ხევისთავი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა, ის წითელი ბაირაღით ხელში დარბოდა ქუჩებში და ხმა ჩახლეჩილი გაჰკიოდა: „თავისუფლებას გ...გაუმარჯოს! რევოლიუციას გაუმარჯოს!“ მაგრამ როცა ჩვენს ქვეყანას წინ დაუდგა მუშურ-გლეხურ რევოლიუციის წითელი აჩრდილი, ჩვენი ინტელიგენტი აიმრიზა, მას ჭკუაში არ დაუჯდა გააფთრებულ „ვეფხვის ბოკვერის“ (რევოლიუციის) საქციელი, რომელიც „ორგოჯიან ფოლადის ბრჭყალებით ქვეს ნაპერწკალს აყრევინებდა და დაჟინებით ხორცეულს მიირთმევდა“. საზოგადოთ, ავტორის მიერ რევოლიუციის დახასიათებას ბურჟუაზიულ-მეშჩანურ-ინტელიგენტური სუნი უდის. ჯავახიშვილის აზრით, რევოლიუცია საშინელი მხეცია, რომელიც ყველაფერს სპობს და ანადგურებს. ავტორის თვალში რევოლიუცია წარმოადგენს ისეთ საშიშ მოვლენას, რომელსაც კაცობრიობა მთელი

თავის არსებით უნდა ერიდოს. რასაკვირველია, ეს „გემოვნების“ საკითხია. გაბატონებულ კლასებისათვის და მათი იდეოლოგებისთვის რევოლიუცია — სიკვდილის განაჩენია, შეუბრალებელი ნადირია, რომელიც დაუზოგავათ სპობს და ანადგურებს საუკუნოებით გამეფებულ უსამართლობას, ე. ი. მუქთახორათა ბატონობას. დაჩაგრულ კლასებისა და ერებისათვის რევოლიუცია ცხოველმყოფელი ქარიშხალია, რომელიც ერთის დაკვრით სწშენდს ძველ სოციალურ ურთიერთობათა ჭაობში დაგუბებულ ატმოსფერას და ნიადაგს უბზადებს ახალ ქვეყანას, თავისუფლებისა და სოციალურ თანასწორობის სამეფოს. მართალია, რევოლიუცია აუარებელ „ხორცეულს“ მოითხოვს, მაგრამ მწერალმა ალბათ ჩვენზე უკეთ იცის, რომ „ვარდი უეკლოთ არაის მოუკრეფია“.

შეეხეთ რა ამ თემას, სხვათა შორის, ჩვენი მიზანი იყო აღგვენიშნა ის ფაქტი, რომ თვით მწერალიც თეიმურაზ ხევისთავთან ერთად ბოლოს და ბოლოს „ცნობილობს“ რევოლიუციას, ურიგდება მის შედეგებს, აღნიშნავს იმ შემოქმედებითი პროცესის ძირითად მომენტს, რომელსაც ეწოდება ჩვენი საბჭოთა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობა, მართალია, ახალი ცხოვრება მეტის-მეტად მკრთალად არის გაშუქებული ამ რომანში, მაგრამ ზოგჯერ ორიოდე ფრაზაში გაცილებით უფრო ძლიერი აზრია დამარხული, ვინემ სქელტომიან თხზულებაში. და ჩვენ გვსურს რომანის სწორეთ იმ მომენტს გავაელოთ წითელი ხაზი, სადაც ლაპარაკია იმ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს გაიძვერა, ნამოურავალ ჯაყოსა და სოფლის მოწინავე ელემენტებს შორის.

ჯაყო ცენტრალური ფიგურაა ამ რომანში. ამ გაიძვერა, გაქნილმა ნამოურავალმა ხელში ჩაიგდო ყოფილ ბატონის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ სახალ ოქონება და ათასნაირ საშვალებებით დაუზოგავათ სწუწნის სისხლს სოფლის ღარიბ გლეხობას. მენშევიკების დროს ის ნოე ჟორდანიას მთავრობას უკმეევდა გუნდრუკს. პროლეტარულ რევოლიუციის დასაწყისშივე მან მოხერხებულათ იცვალა ფრონტი და მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლეთ და მისი ინტერესების დამცველად მოგვეევლინა, რასაკვირველია, გარეგნულად, გლეხების თვალის ასახვევად, თორემ სინამდვილეში ის ისეთივე ავაზაკი და ბაკაცია, როგორიც იყო ძველი რეჟიმის დროს და როგორიც შეიძლება იყოს, საზოგადოთ ასეთი ტიპი. მისი „ბრძოლა არსებობისთვის“ იმდენათ თავისუფალია ყოველგვარ „მორალურ“ სამოსლისაგან, რომ ეს საზიზღარი ქმნილება სერიოზულ ეკვს ბადებს მკითხველში: ადამიანია თუ პირუტყვი ჯაყო? როგორ მოექცა ცხოვრების სათავეში (თუგინდ ერთი სოფლის მასშტაბით) ასეთი საძაგელი პიროვნება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს?

იმ სოფელში, სადაც „მოღვაწეობს“ ჯაყო, როგორც სჩანს, პირველ ხანებში საბჭოთა საზოგადოებრივობა მეტისმეტათ სუსტათ იყო განვითარებული. მთელს სოფელში უკანტროლოთ დათარეშობდენ ჯაყოები და ძმანი მათნი, ეს ცხოვრების ნაძირალები, კულაკები და ავაზაკები, მაგრამ სოფელს ხმა ვერ ამოეღო, თავი ვერ დაეღწია ამ არამკითხე ჭირისუფლებისაგან. მაგრამ ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ (რომლის შესახებ რომანში თითქმის არაფერია ნათქვამი) სოფლის მოწინავე, რევოლიუციონერმა ელემენტებმა კისერი მოუგრიხეს ჯახოს, სამუდამოთ ბოლო მოუღეს ამ მავნე ელემენტების პარპაშს და მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს საბჭოთა კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობას: ჯაყოს ჩამოერთვა დანატაცები ქონება და სოფელში დაიწყო ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც მიზნათ ისახავდა ჯაყოების და მათი მზგავსთა, წყეულ მემკვიდრეობის მოსპობას და მშრომელთა ნამდვილ ბატონობის განმტკიცებას.

როგორი შეხედულებისაც არ უნდა ვიყოთ „ჯაყოს ხიზნებზე“, ერთი რამ უდავოა: ასალმა ცხოვრებამ გაიმარჯვა ძველ, უხეშ ძალაზე და თავის ბანაკში ჩაითრია „ბრწყინვალე“, ნიჭიერი და კულტურულსანი ინტელიგენტი (უნიადაგო, მოლაყბე თუ აქტივისტი ანტი-საბჭოთა „მოღვაწე“ — ამას ჩვენთვის მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს) — თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც სოფლის კოოპერატივში სწყვეტს მარადიულობის პრობლემებს და შესაძლოა, რომ დღესაც დღეში ასჯერ დაუსვამს თავის თავს მუდამ ახალს და ამავე დროს დღემდის გადაუჭრელ კითხვას: სად არის ჭეშმარიტება?

ვიმეორებთ, ახალ ძალების ბრძოლა ცხოვრების უკულმართ მოვლენებთან ჯავახიშვილს სუსტათ აქვს ასახული. იქ მხოლოდ მოკლეთ, ქრონიკის სახით არის აღნიშნული, რომ სოფლის მოწინავე გლეხკაცობამ მოაწყო კოოპერატივი, რომელსაც ნახუცარი ივანე განაგებდა (ეს ივანე პროლეტარულ რევოლიუციის მიერ „მირონცხებული“ ყოფილი მღვდელი გახლავს!); ორიოდე სიტყვით ნახსენებია სკოლა, რომელიც გაიხსნა ამავე პირთა თაოსნობით და სხვა არაფერი. სხვათა შორის, დამახასიათებელია ვარ. ხუროძის შეხედულება ამ საკითხში. მოქ. ხუროძე ეხება თავის წერილში („მიხეილ ჯავახიშვილი ადამიშვილი — „მნათობი, № 5-6, 1925 წ.) ამ ახალ ძალების გამარჯვებას და ბრქყალებში კითხულობს: „თუმცა კაცმა რო სთქვას — რაა ახალი სკოლასა და კოოპერატივში?“ საქმეც იმაშია, რომ აქ ბევრი რამ არის ახალი, პატივცემულო ხუროძევ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ — აქ **ყველაფერი** ახალია. ახალია ის, რომ დღეს სოფლის მართვა-გამგეობის სათავეში დგანან ნინიკეები — გუშინდელი უფლება-აყრილი მონები, ახალი ის არის, რომ საბჭოთა კოოპერაციას აშენებს თვით მშრომელი ხალხი, რომ კოოპერატიულ მოძრაობის განვითარება მოასწავებს სოციალიზმის შენებას, ახალი თვით კოოპერატივია სოფლად. ვინაიდან, თუ თქვენ მეხსიერება არ გღალატობთ, წინეთ კოოპერატივს დიოგენის ფანრით ვერ ნახავდით ჩვენს სოფელში; ახალია საბჭოთა შრომის სკოლები, რომლებშიაც იზრდება მშრომელთა მომავალი თაობა, ახალია იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ იარაღთაგანს მშრომელთა ბატონობის განმტკიცების საქმეში. ახალია თვით ის ფაქტი, რომ სოფლის მოსახლეობის ღა-

ორი წლის წინეთ.

ეუდიდესი ჭკვარაკი ბრძოლის
მოსცალდა შედმა რაზმებს რჩეულებს
და დაუთალსა სული ოშოლი
გმირებს ბლოკვაში გადარჩეულებს.

ბაგრამ უკვდავი ჯოსმოსის სული,
სიყვარულის და ბრძოლის გენია
მისგან ჩვენს გულში შონათებული
დღეს მთელ მსოფლიოს შემოფენია.

და სანამ ფეოქავს სამყარო, ჯრცელი,
ცოცხლი და ცრფოშა გაათბობს
გრძნობას,
ამ სულთან ერთად მისი სახელი
შედამ გაყვება ჯაღობრიობას.

ს. ფეველი.

რიბმა ნაწილმა საზოგადოებრივ ასპარეზიდან განდევნა ჯაყოები და თავის ძლიერ ნებისყოფის მონამორჩილათ გაიხადა ხევის-თავის ყოფ. დიდი ბატონი, სახელგანთქმული, განათლებული, ამაყი თეიმურაზი, რომელიც მთელი თავისი არსებით ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას და მან თავის „პრინციპს“ არ ულალატა მაშინაც კი, როცა იძულებული იყო თავის ნამოურავალის ხიზნად გაეხდარიყო, რათა ავათ თუ კარგათ ეთრია გაძაღლებული ცხოვრება.

დიახ, ამ რომანში ბევრი რამ არის ახალი, რომლის არ დანახვა არ ძალუძს არც ერთ საღათ მოაზროვნე ადამიანს. ნებსით თუ უნებლიეთ ავტორმა გამარჯვება მიანიჭა ახალ წესწყობილებას, იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც დამყარდა საქართველოში 1921 წლის თებერვალში. ბრძოლა ძველი და ახალ საქართველოს შორის დასრულდა უკანასკნელის გამარჯვებით. ადვილად დასაშვებია, რომ ავტორს მაინც და მაინც არ ახარებს ნინიკების გამარჯვება, მას სძაგს რევოლიუცია და მისი კანონები, მაგრამ იძულებულია აღიაროს ფაქტი, რომლის უარყოფა ყოველად შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასთან ახლო მდგომ, ობიექტურათ მოაზროვნე მწერლისთვის.

რაც შეეხება რომანის მხატრულ მხარეს—ის ყოველმხრივ შეუდარებელია. მისი ლამაზი ენა იტაცებს, გამოუთქმელ სიამოვნებას გვრის მკითხველს. საზოგადოთ ამ მწერალს საუცხოოთ ეხერხება სოციალურ ცხოვრების უარყოფით ტიპების დახასიათება და ამ მხრივ მისი ნაწარმოების გაცნობა ზედმეტი არ იქნება ჩვენი მუშა და გლეხ მკითხველთათვის.

ა. ტ.

ᲟᲐᲜᲓᲐᲠᲛᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ.

ს. პ. პ. (ბ) აჭარისტანის კომიტეტის პ/მ. ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲮ. ᲗᲔᲜᲒᲘᲖᲘᲡ ᲫᲚᲔᲜᲢᲘ. სურათი გადაღებულია ᲟᲐᲜᲓᲐᲠᲛᲗᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მიერ.

ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛ ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ.

„აწმყო შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა“.

ლეიბნიკი.

ადამიანი, საზოგადოება, ხალხი თანდათანობით ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ, იძენს გამოცდილებას, ᲰᲥᲛᲜᲘᲡ მატერიალურსა და სულიერ კულტურას. აწმყო აღმოცენებულია წარსულის გაკვეთილებზე, ხოლო თვით ხდება საფუძველი მომავლისა. ჩვენი ჩვენი ახალი ცხოვრების შესაქმნელად ფართედ ვსარგებლობთ წარსულის გამოცდილებათა მარაგით, ვიღებთ მისგან გაკვეთილებს, რომ უფრო სისწორით, შეუცდომლად და სიღრმით ჩავსწვდეთ ახალ ცხოვრების მიერ წამოყენებულ ამოცანებს.

ხალხის ყოფა-ცხოვრება, გამოცდილება, უნარიანობა, მახვილგონიერება, გრძნობა, ლტოლვა-მისწრაფებანი, იდეალები, მრწამსი უხვად ᲰᲞᲝᲒᲔᲑᲡ გამოხატულებას ხალხურ შემოქმედებაში: არაკებში, ზღაპრებში, გამოცანებში, ანდაზებსა, შელოცვებსა, ლეგენდებსა და თქმულებებში. ამიტომ იგი საუკეთესო იარაღია მის კულტურულ ზრდისა და განვითარების, მისი სულიერ აელადიდებისა და საგანძურის გასათვალისწინებლად.

კულტურულ რევოლიუციისა, აღორძინებისა და წინმსვლელობისათვის ამას უმრავი მნიშვნელობა აქვს

ᲮᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲛ დაიპყრო მთელი ჩვენი ცხოვრება. მოკლედ, ᲮᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲗᲘ გახდა მთელი ცხოვრება. იგი შეჭრილია ეკონომიკაში, პოლიტიკაში, პედაგოგიკაში, ისტორიაში... ფოლკლორი ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მხარეთმცოდნეობისა.

ამიტომ მის შეკრებასა და დამუშავებას უნდა მიექცეს ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ აჭარისტანშიც.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ სრულებით არაფერია გაკეთებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ᲮᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ.

აჭარისტანის ხალხური შემოქმედება ერთობ მდიდარია თავისი სივრცით, შინაარსით, იდეიით. მდიდარია ისე, ვით მდიდარია და მრავალფეროვანი აჭარისტანის ბუნება, ზღვასავით დაულეველი.

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ მოიპოვება კუთხე, რომელიც ასე უხვი იყოს ხალხური შემოქმედებით, ნამეტურ ქედის და ხულოს მაზრები. იგი ხელიხელ საგოგმანებელ მარგალიტებად არის მიმოფრქვეული. ალბათ ამას გეოგრაფიულ-ისტორიული პირობებიც უწყობდა ᲮᲔᲚᲡ. არც ოსმალეთსა და არც რუსეთს სრულებით არაფერი გაუკეთებიათ თანამედროვე კულ-კულტურის ხალხში შეტანისათვის. მოწყვეტილი კულტურულ მსოფლიოს, ხალხი ცხოვრობდა საკუთარი სულიერი შემოქმედებით. ამიტომ აჭარაში თუ ძალიან იშვიათია მწიგნობარი, წერა-კითხვის

მკოდნე, სამაგიეროდ ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც პირდაპირ ცოცხალ ენციკლოპედიას წარმოადგენს ხალხურ შემოქმედებისას.

ვბეჭდავთ სანიმუშოდ პატარა ხალხურ თქმულებას და გვინდა მივაქციოთ ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რომ დაყოვნება ამ დარგში პირდაპირ დანაშაულია. საჭიროა, მინამ ჯერ არ დაღუპულა, დავიწყებას არ მისცემია ეს ხალხური სიტყვიერება, იქნეს შეკრებილი, დამუშავებული და გამოქვეყნებული.

ეს არც იმდენ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო აჭარისტანის კულტურულ წინმსვლელობისათვის ერთობ მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება.

აჭარული თქმულება *).

აგერ ხომ ხულოა და ამის გაღმა ეგერ მთა არის წამოყუნტული. მაგ მთაზე ზამთარში ძაან სიცივე იცის. რომ დაუბერს ქარი პირდაპირ ძვალში გადის სიცივე და ყინავს. ო და, აქ—ხულოში თურმე ცხოვრობდა ერთი მდიდარი ბეგი. ფულებიც ბევრი ჰქონდა და რქრო-ვერცხლითაც სავსე იყო მისი სახლი.

ერთხელ ნამეტანი ცივი ზამთარი დადგა. იმისთანა ზამთარი სულ არ ყოფილა. ისეთი ქარ-ბუქიანი ტაროსი დაიჭირა, რომ კაცი კარში არ გაისვლებოდა.

ამ ბეგმა გამოაცხადა: ვინც ამ იანვარ ზამთარში იმ თხემზე ღამეს გაათევს, ბევრ ფულს მივსცემ და კარგადაც დავასაჩუქრებო. აბა სულელი ვინ იქნებოდა და იქ სასიკვდილოთ წასელას გაბედავდა! ყინვამ თანდათან მოუჭირა, მოუჭირა და მოუჭირა. ისე მოუჭირა, რომ ძალიან. ამ დროს გამოჩნდა ერთი ფუხარა, მივიდა ბეგთან და უთხრა: მე გავათევ ღამეს, თუ საჩუქარს მომცემო.

— მოგცემო, უთხრა ბეგმა, მარა ცეცხლი არ დაანთოო.

ფუხარა წავიდა. როგორც იქნა აფოფხდა იმ მთაზე, მარა რად გინდა, მოუჭირა და მოუჭირა სიცივემ, ქარ-ბუქი სულ ძვლებში უვლიდა, აქეთ-იქით აქანავებდა. მერე დაიწყო ხტუნაობა, ეგებ ცოტა გავხურდეო. მარა არაფერი ეშველა, ფეხები დააზრ-, სულ გალურჯდა. დააპირა სახლში წამოსვლა, ოარა მერე იფიქრა, ამდენი ვიწვალე და ბარემ კიდევ ვუძლებო. ქარი უბერავდა და უბერავდა, სულ პირში აყრიდა თოვლს, მარა არ მოეშვა. ბევრი იწვალა, მარა ბოლოს როგორც იქნა მოაწია გათენებამ. მოვიდა ბეგთან და უთხრა:

— ბატონო, ღამე გავათიე იმ მთაზე და რაც შენი წყალობაა, მიბოძეო.

ბეგმა ჰკითხა:

— ცეცხლი არ დაგინთიაო?

— არაო.

— არც დაგინახავს სადმეო?

არაო.

— აბა სანთლის შუქიც არსად დაგინახავსო?

— სანთლის შუქი ... დავინახეო.

— სად დაინახეო?

— სადაო და შენი სახლის ერთი ოთახიდან მობჟუტავდაო.

— აბა სინათლე თუ დაინახე გამთბარხარო, უთხრა ბეგმა და არაფერი არ მისცა,—შენ ჩემი სანთლის შუქს გაუთბიხარო.

რაღას იზამდა საწყალი ფუხარა, ადგა და წავიდა. გავიდა კარგი ხანი. ბეგს ეს ამბავი დაავიწყდა. ერთხელ ეს ფუხარა ეწვია ბეგს და უთხრა:

ჩემო ბატონო, მეცი პატივი და სადილზე მეწვიეო.

ბეგს გაუკვირდა, როგორ მიბედავს, რა პატივი უნდა მცეს ზედ არაფერი აცვიაო. მერე იფიქრა: მოდი ერთი ვნახავ რა სადილს მაჭმევსო და გაჰყვა.

ფუხარა დატრიალდა. იშოვა ერთი დიდი ქვაბი. შიგ ათი ფუთი წყალი ჩადიოდა. ჩაპყარა შიგ სამი ფუთი ბრინჯი, გაავსო წყლით, შეიტანა სამზარეულოში და დაჰკიდა მაღლა ორ საჟენზე. ქვეშ ერთი თითის სიგძე სანთელი დაუნთო. გავიდა დრო და სადილობამაც მოაწია. ბეგმა იკითხა:

— სადილი მაღე იქნებაო?

— ამ წუთში მზად იქნება, ჩემო ბატონო,— უთხრა ფუხარამ.

გავიდა კიდევ ორი საათი. ბეგს მოშივდა. ველარ მოითმინა და კიდევ უთხრა:

— კაცო მაჭამე, თუ რამეს მაჭმევ, თორემ შიმშილით ვკვდებიო.

ფუხარამ უთხრა:

— ამ წუთში ჩემო ბატონო, ცოტა კიდევ მოითმინე და მშვენიერ საჭმელს გაჭმევო.

ერთი წუთიც და ერთი საათიც გაიდა, მაგრამ ფუხარას საჭმელი არ მოჰქონდა. ბეგი შეწუხდა, შიმშილით სულ ფერდები აეკრა, წამოდგა ზეზე და ფუხარას უთხრა:

— კაცო თუ მაჭმევ—მაჭამე რამე, თუ არა მეტი აღარ შემიძლიაო. მაჩვენე მაინც სად კეთდება ეგ შენი საჭმელიო.

ფუხარამ მოახსენა:

— მობრძანდი და ნახე, შენ თვითონ დარწმუნდები, რომ საჭმელი თითქმის მზად არისო.

ბეგი გაჰყვა. ფუხარამ გაუღო სამზარეულოს კარები, შეიყვანა შიგ, მაგრამ ბეგს ელდა ეცა: ძირს პატარა სანთელი ძლივს ბეუტავდა და ზევით ერდოში უშველებელი ქვაბი ეკიდა.

— კაცო გაგიჟებულხარ, თუ რა ღმერთი გაგწყრომია, ამას რომ ვუყურო, ხომ შიმშილით სული გაძვრებაო. ამ ქვაბს ეს როგორ აადუღებსო!?

ფუხარამ უთხრა:

— შე დალოკვილისშვილო, აბა მაგას რად ბრძანებ, შენმა სანთლის შუქმა თუ სამ ვერსზე გამათბო, ნუ თუ ამ ქვაბს ეს სანთელი ორსაჟენზე ვერ აადუღებსო?

ბრ. ბოლრგაძე.

*) ჩაწერილია დ. ხუროში. გაგონილი შაბან-ძია ბოლქვაძისაგან.

კინო ინდუსტრია.

1. გერმანიის კინოტექნიკა.

ჩვენს საერთო ტეხნიკურ ჩამორჩენას გავლენა აქვს კინო მრეწველობაზეც. ჩვენს ფილმებში ბუნება ნამდვილია, ხალასი. სიყალბეს, ხელოვნურობას არ აქვს ადგილი. სულ სხვაა უცხოეთი. იქ კინო ნამდვილი ქარხანაა, სადაც ტრაფარეტით ამზადებენ ყოველგვარ სურათებს. მდიდარი სუბტროპიკული მცენარეებით მორთული ბაღები და საუკეთესო აღმოსავლური სასახლეები ატელიეში კეთდება ფანერა —ალებასტრიდან.

კინოს მსოფლიო ბაზარი ხელთ უპირავს ამერიკა-გერმანიის კინო-მრეწველობას. გერმანიაში კინო-მრეწველობა განსაკუთრებით ომის შემდეგ განვითარდა და დიდი მიღწევებიც აქვს. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ჩვენს მკითხველებს

აჭარელ გლეხთა სახლი ფასადი.

გავაცნობთ გერმანიის კინო-მრეწველობას, ამ მიზნით ვისარგებლებთ რუს კინო-მოღვაწის ნიკ. ლებედევის ნაშრომით. ნიკ. ლებედევმა თვით დაათვალიერა და შეისწავლა გერმანიის კინო-მრეწველობა და მდიდარი მასალებიც მოაგროვა.

ფრიდრიხშტრასსე.

ბერლინის უდიდეს ცენტრალურ ქუჩას ეწოდება ფრიდრიხშტრასსე. ქუჩის სიგძე $3^1/_2$ კილომეტრი. 300-ზე მეტი 5-6 სართულიანი სახლებია ამ ქუჩაზე, რომელსაც სამართლიანათ უწოდებენ ფილმშტრასსეს, ე. ი. კინოს ქუჩას. და მართლაც! გარდა სადგურისა და რამოდენიმე საზოგადო დაწესებულებისა, ამ ქუჩაზე ყველა სახლები დაკავებულია კინოთი.

აქ არის: კინო-წარმოებანი, სურათის გასაქირავებელი კანტორები, კინო-სავაჭროები, ლაბორატორიები, სახელოსნოები, ატელიე, საკომისიო, საექსპორტო, საიმპორტო და სხვა კანტორები. ასობით სტამბები, სადაც კინო-ჟურნალები, კინო-გაზეთები, კინოს რეკლამები და სხვ. იბეჭდება.

ფრიდრიხშტრასსე ვერ იტევს საფილმო მრეწველობას. კინო იპყრობს უკვე მეზობელ ქუჩებსაც. ციმერშტრასსე, კოხშტრასსე, შარლოტენ, მარკგრაფენ, კოტენერშტრასსე და კიდევ რამდენიმე ათეული ქუჩა დაპყრობილი აქვს კინოს.

ამ რაიონში ყოველ მეორე ფანჯარაში კინოსთვის მუშაობენ. ყოველ მესამე მგზავრს კინოსთან აქვს დამოკიდებულება.

ფრიდრიხშტრასსე ყოველდღე იზრდება, ფართოვდება. გერმანიის კინო-მრეწველობა დღითი დღე ძლიერდება. მაგრამ აოსად, არც ერთ მრეწველობაში ისეთი სასტიკი ექსპლოატაცია არ არის, როგორც კინო-ინდუსტრიაში. ყველაზე მცირე ხელფასი კინო-მრეწველობაშია. აოსად არ არის ისეთი კლასობრივი წინააღმდეგობანი, როგორც ფრიდრიხშტრასსეზე. ამიტომაც არის, რომ „ფილმა გეგეერკშავტ" — ფილმის პროლეტარების პროფკავშირმა თავადანვე მოიცილა სოც.-დემოკრატები და გამგეობაში მხოლოდ კომუნისტები აირჩია.

ატელიე ამ ცოლ.

ასე უწოდებენ ბერლინის უდიდეს და საუკეთესო კინოატელიეს—ეფა (შემოკლებულია: ევროპეიშე ფილმ ალიანს—ევროპის ფილმების კავშირი). ამ ცოლ ეწოდება ამ ატელიეს იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ზოოლოგიურ ბაღს—ცოოლოგიშე გარტენ. ამ ბაღში ყველაზე დიდი ატელიე არის ეფა. ეს ატელიე ათჯერ უფრო დიდია სივრცით ვიდრე ყოფ. ერმოლიევის ატელიე (მოსკოვში) და ორმოცჯერ მეტი კუბატურით.

ატელიე ამ ცოლ დიდი ენერგიით მუშაობდა. აქ დაიდგა „ინდოეთის სავანე", „ფარაონის ცოლი" და სხვ. როცა გერმანიაში ეკონომიური დეპრესია დაიწყო, ამ ცოლ შემცირდა. ეხლა იგი ქირავდება დღეში 80 დოლარათ — 160 მან.

დეკლა ბიოსკოპ.

ბერლინის მახლობლათ სადგური „ნეიბაბელს-

წერილები სასკოლო საკითხებზე.

1. მხარეთმცოდნეობა სკოლაში.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი აქვს დასახული საზოგადოებათმეცნიერებას პოლიტიკურ აღზრდის დარგში, აგრეთვე გარკვეულ ისტორიულ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, საკმარად დამუშავებულია თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურაში.

საჭიროა ეს, მასწავლებელთათვის ცოტა ბუნდოვანი საკითხი, გაშუქებული იქნეს, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე.

რომ სკოლის მუშაობა უნდა ატარებდეს უმეტესად შემოქმედებით, კვლევით, ლაბორატორიულ ხასიათს, ეს აზრი დასაბუთებულია თეორიაში. მაგრამ პრაქტიკაში სკოლის ცხოვრების ყოველი დარგი ვერ ეგუება, ვერ ახერხებს კვლევით მეთოდზე გადასვლას. საერთოდ თითქმის სასკოლო ბუნებისმეტყველება უფრო იოლად და ჩქარა შეეჩვია მას, ვიდრე საზოგადოებათმეცნიერება.

გარემოცული ბუნება, არე, ისე შძლავრად მოქმედობს ბავშის ფსიქიკაზე, ყურადღებაზე, რომ რეგვენი ბუნებისმეტყველი პედაგოგიც ძიხვდება ახალი სკოლის პრინციპებს და წიგნობრულ გაკვეთილს შესცვლის ლაბორატორულ მეცადინეობით, ექსკურსიით და მხარეთმცოდნეობას თავის მუშაობას სარჩულად დაუდებს.

ამ დარგში წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა სანიმუშო და საცდელ სკოლებში. მათ ჰბაძავენ პროვინციალური სკოლები და შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ცოტაოდენი მიღწევებიც გვაქვს. რაღა თქმა უნდა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ

ბერგ". აქ არის დიდი კინო-მრეწველობა დეკლასი —დეკლა-ბიოსკოპ. ეს მთელი ქალაქია. აქ 600 მუშა მუშაობს. ეს უკვე არ არის ატელიე, არამედ კინოფაბრიკა, სადაც მზადდება ათასობით კინოლენტი.

საინტერესო სანახაობას წარმოადგენს ეს ქალაქი. მთები, არაბეთის უდაბნოს ნაგლეჯები, საშვალო საუკუნოების სასახლეები, მთიული ქოხები. აქ ყველაფრის ნახვა შეიძლება. მგზავრის ყურადღებას იქცევს ეგვიპტური გემი. ასამდე ნიჩბით. მშვენიერი ორნამენტი, ანძები, იალქნები. მაგრამ ყველაფერი ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით გაუთლელი ფიცრები, სვეტები. აღმოჩნდა სრული სიყალბე. გემი მაგრათ არის ჩარჭობილი მიწაში. გემის წინ ამოთხრილია მიწა, სადაც წყალი ასხია და ხელოვნურათ აწყობენ ღელვას. სურათის გადაღებისას გემის უკან ინძრევა დეკორაცია. ესეც „ინდოეთის სავანე"— (Индийская гробница). იქვე ტროპიკული მცენარეები. ყველაფერი ფანერიდან და ალებასტრიდან არის გაკეთებული.

ს ი ნ ა თ ლ ე

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ კინოფაბრიკის ტეხნიკური მოწყობილება. აქ შეიძლება ყველაფრის შოვნა. ათასობით ტანსაცმელი, ვეება სახელოსნოები და სხვ.

ერთობ მდიდარია ფაბრიკა სინათლით. აქ იმოდენა „იუპიტერებია", რამდენიც მთელ საბჭოთა კავშირშია. დიდძალი სამხედრო პროჟექტორები და სხვა. ატელიეს გასანათებლათ მუშაობს სპეციალური ელსადგური.

ს ტ ა ა კ ე ნ.

ბერლინიდან ერთი საათის საცალზე დაბა სტაკენში მოწყობილია კინომატოგრაფიულ ფირმის „ნეიმანის" ატელიე, რომელსაც ბერლინში „სტაკენს" უწოდებენ. ამბობენ, რომ სტაკენი ყველაზე დიდი ატელიეა მთელ ქვეყანაზე. ეს მართალია. შეიძლება ასეთი შედარება: „სტაკენში" სრულიად მოთავსდება ყოფ. „მოსოვიო მანეჟი" და ყოფ. „მიუზიმერილიზი" (მოსკოვში). სივრცე—12.000 მეტრი. ეს სივრცე დახურულია 45 მეტრის სიმაღლეზე.

ომის დროს სტაკენი იყო ცეპელინების ანგარა. ვერსალმა გერმანიას წაართვა ცეპელინები და ეხლა კინო ატელიე მოეწყო შიგ.

ეს ატელიე შესანიშნავია მით, რომ მისთვის არ არსებობს ამინდი. აქ ათასი საკუთარი მზეა (იუპიტერი). ათასგვარი ლამპები, სამხედრო პროჟექტორები—რამოდენიმე მილიონი სანთლის სინათლეა ამ ატელიეში. სინათლის მისაღებათ მუშაობს 3 ელსადგური, რომელთა საერთო ძალა უდრის 25.000 კილოვატს.

ატელიე მოწყობილია ყველაფრით, რაც კი საჭიროა კინოსთვის. აქ ტეხნიკა უმაღლეს წერტილს აღწევს. ათობით ინჟ.-არხიტექტორები, საუკეთესო მხატვრები, მცოდნე ტეხნიკური პერსონალი, მდიდარი გარდერობი, დეკორაციები.

დეკლა-ბიოსკოპთან სტაკენს ის უპირატესობა აქვს, რომ სტაკენისათვის არ არსებობს ამინდი. აქ თვითონ ქმნიან როგორი ამინდიც უნდა. აქვთ საკუთარი ცა. ფანერისა და ტილოსაგან მშვენივრათ მოწყობილია ცა ღრუბლებით, ვარსკვლავებით, მთვარით, მზით, მეხით და სხვა ატრიბუტებით, რომელიც ნამდვილ ცას შეფერის. განსხვავება იმაშია, რომ აქ გინდა ჩრდილოეთის ცას მოაწყობ, გინდა სამხრეთისას, გინდ მოღრუბლულს, გინდ მოწმენდილს.

ასეთი ტეხნიკური პირობებია გერმანიის რეჟისორების ხელში. გასაკვირიც არ არის თუ ასეთი მიღწევებია გერმანიის კინო-მრეწველობაში (დადგმის მხრით). როგორ იყენებენ ამ ტეხნიკას გერმანელი რეჟისორები? ამის შესახებ შემდეგ წერილში, სადაც გერმანელ რეჟისორებს დავახასიათებთ.

ვრი.

გზა გაკაფულად უნდა ჩაითვალოს. მშობლიური ბუნების კონკრეტიული მოვლენების გამოკვლევით, ისინი მიდიან ბუნების ზოგად კანონების შესწავლისაკენ.

სამშობლოს შესწავლიდან და მხარეთმცოდნეობიდან—ბუნებისმეტყველებისა და მყარმცოდნეობისაკენ.

ასე ვსთქვათ, მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან—უცნობისაკენ...

ანალოგიური პროცესი არ ჩანს საზოგადოებათმეცნიერების შესწავლის დარგში. მართალია, რევოლუციის შემდეგ, ეპიზოდიური და გასისინებულ პატრიოტიზმით გაჟღენთილი ისტორია და სამღვთო სჯული შეიცვალა რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიით, კულტურულ ისტორიით მატერიალისტურ საფუძვლებზე, პოლიტიკურ ეკონომიითა და ანბანით, საბჭოთა კონსტიტუციით... მაგრამ ეს ცვლილება არ დამჩნევია სწავლების მეთოდებს. სწავლება ძველებურად დარჩა სიტყვიერ-დოგმატიური, და არა კვლევითი. ყველა სკოლებზე არ ითქმის ეს, მაგრამ ცხადია უმრავლესობას ასე ემართება.

შესწავლა გარემოცულ საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებისა ჯერ კიდევ არ შეჭრილა საზოგადოებათმეცნიერების წრეში, ამავე დროს ცხოვრება მრისხანედ გვიბრძანებს მივაქციოთ უდიდესი ყურადღება სამეურნეო ყოფა-ცხოვრებას, როგორც საერთო რესპუბლიკანურ, აგრეთვე საკუთარი მხარის სვლა-გეზით.

ეკონომიურ ცხოვრების შესწავლა და გამოკვლევა მორიგი საკითხია ჩვენს კავშირში. სკოლა გვეერდს ვერ აუხვევს მას, რაჲც მთელი საზოგადოების ყურადღებას იქცევს და ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ ცხოვრების მოთხოვნილებანი სავსებით ეგუებიან პედაგოგიურ მოთხოვნილებას.

საზოგადოებათმეცნიერების დარგშიც ჩვენ უნდა დავდგეთ კვლევით გზაზე, რომელზეაც უკვე ვდგავართ ბუნებისმეტყველების დარგში.

ამისათვის საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრება კუთხის, მხარის, რესპუბლიკის, უნდა გახდეს ჩვენი ყურადღების და შესწავლის საგანი.

საზოგადოებათმეცნიერებას, ისე, როგორც ბუნებისმეტყველებას, გზა აქვს მხარეთმცოდნეობაზე. ეს გზა შეუჩვეველობისა გამო გვეჩვენება მეტად მძიმედ, მაგრამ ამავე დროს იგი სულ იოლი, ადვილი გზაა. და თუ დავივიწყებთ წიგნობრულ სწავლებას და თვით დაინტერესდებით ჩვენი კუთხის ცხოვრებით, მუშაობა შემდეგ ადვილია.

საქმის ღირსეულად დაგვირგვინებისათვის პირველი და უმთავრესი პირობაა, მასწავლებელი თვით დაინტერესდეს გარემოცულ საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებით.

ეს ახალი არ არის რაჲმე შემთხვევითი, არ არის უბრალო დროებითი გატაცება ახალით მარტო იმიტომ, რომ ეს ახალია. ჩვენ ხომ ყოველ წუთში გავიძახით და შეთანხმებულიცა ვართ, რომ სკოლა ცხოვრებას უნდა დაუახლოვდეს? მაშინ რა არის მთელი ჩვენი ცხოვრება, თუ არა მხარეთმცოდნეობა?

თუ არა მისი გარემოცული ბუნებიდან და სინამდვილიდან აღებული მასალა, მაშ სხვა რა უნდა დაამუშაოს მოწაფემ, რომ თვისი ელემენტარული დაკვირვებიდან უკანასკნელ მეცნიერულ განზოგადოებების გაგებამდე მიაღწიოს და მუდამ გრძნობდეს ამ განზოგადოების კავშირს ცხოვრებასთან.

თავის ბოსტანსა და მახლობელ ჭალას მოწაფე ბუნებისმეტყველების სინტეზისაკენ მიჰყავს; გლეხის სოფლის მეურნეობა და მეზობლად არსებული ფაბრიკა მისი პირველი წიგნია საზოგადოებათმეცნიერებაში; ადგილობრივი ნანგრევები მასში ისტორიზმის გრძნობას ზრდის.

მხარეთმცოდნეობა ძვირფასია არა მარტო თავისი წმინდა მეთოდიურის მხრივ, არამედ იმითაც, რომ გამოაცოცხლებს სასკოლო საქმეს, რადგან მას ერთი მხრივ დაუკავშირებს მეცნიერებას, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოებრივ ცხოვრების ცოცხალ, მომქმედ, მწარმოებელ წყაროებს,—ამბობს ერთი გამოჩენილი პედაგოგი.

ამიტომ არის რომ საბჭოთა კავშირში დიდ ყურადღებას აქცევენ მხარეთმცოდნეობის საკითხს და გააფთრებული მუშაობა სწარმოებს კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკებში.

აშკარაა ყოველი სასკოლო დისციპლინა, უნდა გამომდინარეობდეს მხარეთმცოდნეობიდან. მთელი ცხოვრება მხარეთმცოდნეობითი გახდა; მხარეთმცოდნეობითი უნდა გახდეს სკოლაც, თუ მას არ სურს ჩამორჩეს ცხოვრებას.

ამიტომ მასწავლებელი უნდა შეიქნეს კარგი მცოდნე მხარისა, რომ შეიქნეს საერთოდ კარგი მასწავლებელი. და ყოველ მასწავლებელს, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელს, შეუძლია იქნეს საუკეთესო მკვლევარი, უკეთუ იგი თავიდან გამოიბერტყავს მორცხვობას და მიხვდება, რომ იგი უფრო მოწადებულია ვიდრე სხვა, აასრულოს დიდი როლი არა თუ მარტო პედაგოგიურ, არამედ მეცნიერულ დარგშიც.

სოფლის მასწავლებელი შემაერთებელი რგოლია სამეცნიერო ცენტრის—ქალაქისა და სოფლისა. მასწავლებლის საშუალებით და მასწავლებლისაგან უნდა მივიღოთ მეცნიერებისათვის საჭირო ცნობები მხარის ცხოვრებიდან. ჩვენს პირობებში ეს უდაოა. ამიტომ მასწავლებელი მხარეთმცოდნე და მეტყველი შეიძლება გახდეს საპატიო წევრი მეცნიერთა წრისა.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ თანამედროვე პროგრამების ცხოვრებაში გატარება მოუხერხებელია სოფლის ყოფა-ცხოვრების შეუსწავლელად. და ეს პროგრამები ხომ თვით ცხოვრების ამოძახილია, თვით ცხოვრების წარმოშობილი. ამიტომ სოფლის შესწავლა თვით ქალაქსაც ესაჭიროება იმდენად, რამდენათაც სოფელი ქალაქთანაა დაკავშირებული.

უკეთესია სერიოზული მუშაობა სოფლიდან იქნეს დაწყებული ყოველ სკოლაში. რა თქმა უნდა სწავლების პირველი სამი წელი დაკავშირებული უნდა იქნეს ბავშის უახლოეს საგნებთან და გარემოსთან. მაგრამ როცა სკოლის მუშაობა ფართოვდება და იღებს უფრო სისტემატიურ ხასიათს და მასთან

აჭარისტანის აგრონომიული ტექნიკუმი. მუშაობა ბაღში.

დაკავშირებით ფართოვდება თვით დაკვირვების და კვლევის არე, სოფელი მაშინ დიდ სამსახურს გაგვიწევს.

ხომ მართალია, რომ ქალაქის 10—11 წლის ბავშისათვის უფრო მისაწვდომი, საინტერესო და მეტი განვითარების საგანია სოფელი, ვიდრე ქალაქი. რაღა თქმა უნდა ბავშის განვითარების სისრულისათვის, საჭიროა სოფლის ბავშის მიერ გაცნობა ქალაქისა და ქალაქელისაგან—სოფლისა. შეუთავსებლად არ არსებობს შესწავლა და ვისაც არ უნახავს სხვა პირობები, ვერ გაიგებს თვისასაც. 10, 11, 12 წლის ბავშისათვის მიუწვდომელია, შედარებით სოფელთან, ქალაქის რთული დაწესებულებანი. სოფელი კი უფრო მარტივია თავის საზოგადოებრივ აღნაგობით. რაკი ასეთი მნიშვნელობა ეკუთნება მხარეთმცოდნეობას, ჩვენ უნდა გავარკვიოთ მეთოდები და სოფლის უშუალო გამოკვლევის პროგრამული საკითხები, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ თვით მასწავლებელთათვის, და რომელიც შედარებით დამუშავებულია ჩვენსა და რუსეთის პედაგოგიურ-მეცნიერულ ლიტერატურაში.

მუშაობის დაწყების დროს შეიძლება მასწავლებელი ტეხნიკურ და სხვა დაბრკოლებათა რგოლში მოექცეს, მაგრამ მუშაობის დაწყება მაინც აუცილებელია, რადგან ეს არამც თუ ჩვენი მორიგი პედაგოგიური და მეცნიერული ამოცანაა, არამედ ჩვენი მოქალაქობრივი და სახელმწიფობრივი მოვალეობაც. სირცხვილია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი აჭარისტანი სრულებით ხელუხლებელია ამ მხრივ. მართალია, ინტერესი დიდი ხანია გაღვივებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერია გაკეთებული. და ეს ხდება უმთავრესად მისთვის, რომ საქმის ინიციატორები ქალაქად ვართ და, მეორეც, არა გვაქვს საშუალება სოფელში სვლისა.

(შემდეგი იქნება)

გრ. გოლგაძე.

ჭ ო ლ ო ხ ი.

ირგლივ წყვდიადით მოცული მხარე,
მთლად შავ თალხებში გასუდრულიყო,
ფიქრებს მოეცვა ჭოროხი—შმაგი,
იგიც მთებივით დათალხულიყო.
სიბნელით მოცულ მთებისა გმინვა,
შორს, შორს სივრცეში ჩაინთქმებოდა,
და მათი მწარე ამონაკვნესით
ზღვაც ირხეოდა, იქაფებოდა.
უეცრად მოსწყდა ნიავი მთების,
ჭოროხის მკერდზე გადაიქროლა,
ახარა შვება, და ეს შვების ხმა
ლაჟვარდ ტალღებში გადაისროლა.
„ჭოროხი“ არის პირველი ჰანგი,
კვალი, მესხეთის განახლებისა,
რასაც მოწმობენ წარსულთა ღვაწლი,
ღვაწლი დიდების, განათლებისა.
თუმც მართალია, ჯერ ნორჩი არის,
ნორჩი, ახალი, ვითა ნასახი,
განვითარება ახლავს ნასახს და
დაჰკრავს და დაჰკრავს ვითა ჩახმახი.
ხედავთ დგება დრო საცა ბულბული
დასტვენს და ტკბილად ამეტყველდება,
ახმაურდება სიმი მესხეთის
ძველი დიდება დაუბრუნდება.
მაგრამ ნუ ჰკიცხავთ ჯერ ნორჩი არის,
ნორჩი, ახალი, ქორფა და ნაზი,
გაძლიერდება, დაჭაბუკდება,
გადიფურჩქნება ვით ვარდი ნაზი
არ დაივიწყოთ ჟურნალის ვმირნო,
აზრთა გაშლა ხომ თქვენია ვალი,
ხელი-ხელს მივსცეთ და გამოვსჭედოთ,
თავისუფალი ჩვენ მომავალი.

ჯემალ ნოღაიდელი.

„ვინ არის დამნაშავე“.

რეჟ. ალ. წუწუნავა.

თებერვლის შუა რიცხვებში ბათომში ნაჩვენები იქნება (კინო-„აპოლო“-ში) საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი „ვინ არის დამნაშავე“ — „უაილდ-ვესტის მხედარი.“ სიუჟეტი აღებულია ნინო ნაკაშიძის პიესიდან. ის, რაც სცენისთვის შეუძლებელია, კინოსთვის სტიქია. რეჟ. ალ. წუწუნავამ, რომელმაც ყველაზე უკეთ დადგა სცენაზე ნაკაშიძის პიესა, საუკეთესოთ შესძლო ამ პიესიდან ფილმის შექმნა. სურათი იძლევა დიდი გაქანების შთაბეჭდილებას. როცა ხედავ ამერიკის სურათებს, დადგმის დეტალებს, არ გჯერა, რომ ეს სურათი თბილისში დაიდგა. ამერიკაზე არა ნაკლებ მხატვრულათ არის გადმოცემული ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულებანი: ბურთის თამაში „ლელო“, ცეკვა „ხორუმი“, ჯირითი და სხვ.

„ვინ არის დამნაშავე“ დიდი მიღწევაა, როგორც სახკინმრეწვისთვის, ისე თვით რეჟისორისათვის. ამ ფილმამ დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ მიუხედავათ ჩვენი ტეხნიკური სიღარიბისა, ჩვენს ქვეყანაშიც ჩვენივე ძალებით შესაძლებელი ყოფილა ისეთი ფილმის შექნა, რომელიც „სტაალენში“ და „ამცოოში“ დადგმულ სურათებზე გაცილებით მაღლა დგას.

კინოს მოყვარული.

დრამატიული ეტიუდი

(სცენა წარმოადგენს მთის თხემის რამოდენიმე მწვერვალს. ფარდის ახდისას სცენა წყვდიადითაა მოცული. ისმის ქუხილის მსგავსი, ნელი ყრუ ხმაურობა, რომელსაც უერთდება ძაღლის ყეფის შორეული ხმა, რის გამოძახილიც ედება მთელ არე-მარეს. ამ წყვდიადითა და იდუმალით მოცულ არე-მარეში უცებ გაიფანტება ციური ჰანგები — ხმა მეტად ნაზი და მელოდიური. შორს, შორს მოისმის ზარის რეკა. ჰაეროვან და თოვლივით სპეტაკ ღრუბლებით შესუდრული თხემის ერთი უმაღლესი მწვერვალი, თანდათან ნათდება რიჟრაჟის მზის წითელი სხივებით. ამ მწვერვალზე, ღრუბლებთ შორის, დაეშვება თეთრად მოსილი აჩრდილი — **მშვენება** — რომელიც ჰფანტავს ღრუბლებს და ნათელ შუქსა ჰფენს იქაურობას. კვლავ სიბნელით მოცულ მთის ხვეულის მარცხენა მხარის კალთებზე გამოჩნდება უზარმაზარი **შავი აჩრდილი**. სიმღერა და ზარის რეკა კვლავ გრძელდება, რომელიც იფანტება მინელებულ ყრუ ხმაურობაში. დაბოლოს ყველაფერი მისწყდება და სამარისებური, იდუმალით მოცული სიჩუმე გამეფდება).

მშვენება. მე აქ ვინათებ, ამ მწვერვალოზე, ჩემის მშვენებით ვამშვენებ არეს. სამარადისო სხივს და ნათელს ვფენ მე ამ ქვეყნისა მარადისობას.

შავი აჩრდილი. სჯობს სულ არ იყოს, უფსკრულმა შთანთქას შენი მშვენება მიუწვდომელი... არა აქვს ძალა შენს სხივოსნობას, ის ნათელს ვერ ჰფენს ქვეყნიერებას. დეე, ბრწყინავდე ღრუბლებთა შორის, მთის თხემს, მწვერვალებს ასხივოსნებდე! რა გამოვიდა, რა სარფა არის — ძლევა მოსილი თუ რომ სხვა არის?!. აი, ხომ ხედავ უფსკრულს უძიროს (უჩვენებს ქირზე), წყვდიადით მოცულს?!. მრავალ წლებისა, საუკუნეთა გამოჭედილი ძალა იქ სუფევს; თვით უკვდავება ძლიერებისა იქ ნადიმს იხდის და ძლიერება უკვდავებისა აქვე ზეიმობს კაცთ სისუსტეზე.

მშვენება. განა უფსკრულში ზექვეყნიური უკვდავებაა?! რა არის იქა სამარადისო?! რას შეუძლიან რომ არ ჩაიჭყნას, არ ჩაიფერფლოს და სულ არ გაქრეს?!. იმ ქვეყნიური ცხოვრების ძალა მოჩვენებითი, წარმავალია და იმა ჟამსა, როს მიეცემა ის უსაზღვროსა დავიწყებასა; როცა იმ ქვეყნის ტანჯულთ, გლახაკთა, მონათ, მათხოვართ გულს აღენთება ნდობისა ძალა; როს ბრიყვნი თვისსა განუსჯელობას, უგუნურებას, უგულისხმობას უკუ აგდებენ და წმინდა გზასა თვისს შთამომავალს კაშკაშ ჩირაღდნით გაუნათებენ... განა მე მაშინ აქ არ ვიქნები, თვის ცხოველმყოფელ ნათელ სხივებით და ამ შვენებას წარმტაცს, მიმზიდველს, ამ ტურფა წალკოტს, მშვენიერ მდელოს, განა იმათ არ დავასაკუთრებ?!.

შავი აჩრდილი. შენ გავიწყდება, ჩემო კეკლუცო, რომ კაცთ ბუნებას აქვს ის თვისება — რაც ხელთ უპყრია — მისთვის არ კმარა და ამიტომაც ის მუდამ ილტვის და ყოველ ჟამსა ძიებაშია. ამას ხელს უწყობს თვით ეს ბუნებაც... ბუნების ქმნილის სხვა და სხვაობა, თვით სიმახინჯე, სიტურფ-სინაზე, გენიოსობა, ბრიყვთა ზვაობა — გრძნეული გრძნობის გამომწვევია; და ეს საბრალო ადამიანთა შთამომავლობა, ქედის მომხრელი მრავალს, უთვალავ კერპთა წინაშე, ადგილათ სცდება და გზა ებნევა, მაგალითები ხომ მრავალია,.. საუკუნეთა წარსული მათი ამას გვიჩვენებს, ამას გვიმტკიცებს და ბატონობას ვინც რომ იხელთებს — ჭეშმარიტებას ის გვიკარნახებს.

მშვენება. ვერ დამიმტკიცე, თუმც ძლიერ ცდილობ, ჩემი მშვენების არარაობა. გრძნეული გრძნობა, გრძნობა ციური, თვით ბუნებისგან ჩანასახია კაცთ ბუნებაში. მის განდიდებას თვით მეც ხელს უწყობ. დამატკბობელი სმენის მუსიკა, თვით ბუმბერაზთა ფიქრთა აღმძვრელი სურათ ხატება ამ ბუნებისა წარმტაც სივრცისა, კაზმული სიტყვა ცხოველმყოფელი — ეს ყოველივე გრძნობით განცდილი უკვრო არ შესძლებს გონების გახსნას?! მეც იმას

ენატრობ, იმ დიად ჟამსა, მზის ცხოველ-მყოფელ სხივებში მსრბოლი, ფაქიზ გრძნობათა ზვირთთა ტალღებში მცურავი ხალხი, როს მე მინატრებს, ჩემსკენ წამოვა... უკვე ადგა დრო საშინელის შურის ძიების, კერპთა მსხვრევისა, განადგურების... ახლოა წამი ბრძოლის ყიჟინის ახმაურების... აჰა, საცაა შემოკრავს ხარი ამ დიდ მოვლენის მახარობელი... მეც ჰაეროვან ციურ ჰანგებით მაშვრალთ მიუძღვნი დიდს საგალობელს და მიულოცავ სამარადისო ბედნიერებას.

იდუმალი ხმა. (ზევიდან). ესმის ყველა ეს უზენაესსა, ისიც, მოელის სანატრელ ჟამსა...

მშვენება. აი, თვით ზეცაც მესაუბრება... ამ ქვეყნიური ბიწიერება განელილ დროს, ჟამსა ეანდერძება, მომავალ ხალხთა შთამომავლობას ის ზღაპარივით გადმოეცემა... საქმე ის არის ვის როგორ უცემს გული თვის მკერდში, ვის როგორ ძალუძს მედგარი ბრძოლა, რომ გამოსჭედოს მან თვისი ბედი; დიდის ჩაქუჩით, რკინის ურითი გრდემლზედა ცემით, ვინ გაანელებს და სულ დაამსხვრევს ბიწიერების გოლიათობას.

შავი აჩრდილი. ხა, ხა, ხა, ხა, ხა... მეც ამას ვამბობ... ბუნების ქმნილნი: უტყვი, მეტყველი, მკვდარი-უსულო, ცხოველ-მყოფელი... წყარო და კორდნი, მინდვრები, ტბები, ტყეს იდუმალი, სიკვდილ-სიცოცხლე, ჭექა-ქუხილი და თვით მიწის ძვრის გრიალ-გრიალი... ბინდი, სინათლე და ყოველივე, რაც კრთის, სულს ითქვამს, ძრწის, მიისწრაფის, ჩნდება, იზრდება, ბნელდება-კვდება და კვალად ჩნდება წამებისათვის... თვით დედამიწაც, როს ყინვა თოვლ-ში, ზამთრის ბურუსში არს გახვეული, ან გაზაფხულის დღითა აღზრდილი, აღტაცებული, აყვავებული... ბუმბერაზი ზღვაც—რომლის კინტროსში ხალხის ვარამიც ძლიერ მცირე სჩანს, რომელიც წარმტაც მშვენების არის, როდესაც დრტვინავს, გოგოკრობს, სწყრება, ზვირთებს ზვირთებზე როს ღრიალით სცემს კლდოვან ნაპირებს და ეხეთქება... აი, ესენი, ბუნების ქმნილნი, ყოველნი ყველგან სხვა და სხვა არის... ცვალებადებას განიცდის ყველა და მათ სტიქიურ ძალას მუდმივსა, რით შეუძლია შენზედ შეჩერდეს, მოგაპყრას თვალნი ვით დიდებასა. შენ განატრულობდეს, შენსკენ ვიდოდეს?! ცვალებადია კაცის ბუნება, დღეს შენ გიწამებს, ხვალ კი მეორეს და ამ კვლევაში, ამ ძიებაში ერთი ერთს შთანთქავს, მეორე-მეორეს და აგრე მუდამ, დაუსრულებლივ მიმდინარეობს ბრბოთა სიცოცხლე... იმათ თვით გზაზე რაც კი მოხვდება ფეხქვეშ სრესს, სთელავს და აგრე გასრესს, აღარ დაინდობს შენსა სიტურფეს, შენსა მშვენებას. თვისსა სიბრიყვით ის ვეღარ არჩევს უბედურება-ბედნიერებას... შენსკენ მომავალ გზას გაბრწყინებულს სულ ადვილათა იგი ასცდება და აგრე რიგათ მისდგება უფსკრულს და მის წყვდიადში ის შთაინთქება... შემდეგ კი კვალად აბოგინდება, რომ კვლავ განაგრძოს სვლა იმავ გზასა, რომლით ვიდოდა მრავალსა წელსა.., და მაშ რა არის, რა არის მათთვის შენ მშვენება, ეგ სხივოსნობა, თუ შენ ვერას დროს ვეღარ გიხილავს, ვეღარ მოგაღწევს მისი გონება?!

საბჭოთა არჩევნები აჭარისტანში.

აჭარელი გლეხები არჩევნებში.

დე, იკაშკაშე სხივთა კონებით, თუ გინდ ჩაბნელდი ჩაუკუნეთდი ამაობათა ამაოებით.!. არას დაჭკარგავს არავინ ამით, მათთვის ერთია ყოველი ესა.

მშვენება. ლამაზთა სთქვი ეს ყოველივე, თუმც მეჯავრება ეგ შენი კილო, ეგ გულის მკვლელი შენი ხარხარი... მაგრამ მე მაინც არ შევაბნელებ ჩემს ბრწყინვალებას, ჩემის კაშკაშა სხივთა კონისგან ერთს არ ჩავაქრობ, არ შევანელებ... მაგრათ ჩავბერივ საყვირს მსმობელსა, ზარებს ჩამოვკრავ, დავაგუგუნებ... (ასტედება საყვირის ხმა და ზარების რეკა). აქვე მოვიხმობ მე რჩეულთა გუნდს საგალობლათა, ციურ ჰანგებით ამ არე-მარეს სულ გავაყრუებ. (მოისმის ,,ინტერნაციონალი'') და ღრმად ვიწამებ, რწმენით ძლიერით, რომ მოიხიბლოს კაცობრიობა, განიწმინდება უმეცრებისგან დღეს მიჩრდილული მისი გონება... ჩემსკენ გამოსწევს მედგარი ბრძოლით, მედგარ ნაბიჯით მოექანება... წმინდა, ანკარა ამ მთის ჩანჩქერით თვის გულის წყლული მოგბანება და გარკინებულს, გოლიათს, დევ-გმირს, წელში გამართულს ამ ქვეყნის მაშვრალთ ამ სამეფოში ბედნიერება დაემკვიდრება.

შავი აჩრდილი. (მოჭყვება ხარხარს). სულ ტყუილია, სულ ოცნებაა... ეს ზღაპარია მიუწვდომელი... (ასტედება საშინელი ჭექა-გრგვინვა, ელვა კიკლაკნება. ამ გამაყრუებელ ხმაურობას უერთდება საყვირის ხმა, ,,ინტერნაციონალი'' და ხარხარი შავი აჩრდილისა. სტენაზე დაუკუნეთდება, მასწყდება ელველივე და სამარისებური სიჩუმე დადგება. დიდი პაუზა. კვლავ გაისმება ნელი „ინტერნაციონალი", თანდათანობით მწყვეტლებს მოაწყვება მზის მრავალფეროვანი სხივები, რომელიც კასათებს შთელ არე-მარეს, მხოლოდ მარგხენა მხრის ხვეული, სადაც შავი აჩრდილი იდგა დარჩება შესამჩნევათ დაჩრდილული. შავი აჩრდილი გამქრალა. მშვენება კი სდგას ოავის ადგილას შესაფერ პოზაში. ანთოეოზი).

(ფარდა).

ვ. ასკურავა.

შენიშვნა: ეს ეტიუდი წარმოადგენს ავტორის პიესის ,,შავი არშია'' ს პროლოგს. ეს პროლოგი დაბეჭდილი იყო ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრება''-ს ერთ ერთ ნომერში 1920 წ. ამჟამად იბეჭდება ცოტა შესწორებით.

რედ.

ახალ ძალების გამოფენა

შიო არაგვისპირელის ხსოვნას.

მოკვდი, დასდუმდა შენი ხმა
ველარ აიღებ კალამსა,
თუმც საღი გქონდა გულის თქმა,
აწ ველარ უმღერ მაშვრალსა.

შენ წადი, მაგრამ გაბოი,
შვილი დათუას, ნენესი,
ან სოფკა ვის დაუტოვე
ეს ორი უტკბილენესი.

შრომის შვილები მოვსულვართ
მიწით, სოველი კალთიდა
რომ მოუძიმროთ ქალაქლებს
შენი სიკვდილის ამბითა.

არაგვიც შენსკენ მოირბის,
არაგვი გალამებული,
თან სილა-ქვიშას მოათრევს
შენზეა გაბრაზებული.

ლუღლუღებს—შიომც დამტოვა,
არ ვიფიქრებდი მასზეო
მიღალატებდა ბედკრულსა
ან და გამცვლიდა სხვაზეო.

იაკ. ბალახაშვილი.

ძვირფასს დას

(აჭარელ ქალს).

ოდეს დაღვრემილ ფუხარას ქოხში,
შენი აკვანი დაიკო რწოდა!..
ტკბილად გეძინა, მაგრამ მშობელი
ჩაგვრის უღელში კვნესოდა ძრწოდა.

* * *

როს გაიზარდე შენც გახდი მონა,
შავი დოლბანდი ჩამოგეფარა,
კულტურის სხივებს განზედ ურბოდი
და ისიც შენებრ მოგეხმარა.

* * *

დღეს შენი ძმები თამამად ვიტყვით,
რომ მომავალი მხოლოდ ჩვენია,
მედგრად ვიბრძოლებთ მტარვალთ წინაშე.
ეს ჩვენს წინაპართ წესად ჩვევია.

* * *

მაშ აწ შენ იცი ძვირფასო დაო,
ერთად გავფრინდეთ ელვისურ რაშით
მასსა ჩაგრული გამოვაფხიზლოთ
ლენინურ რწმენით, მუსიკის მარშით.

ზია ძემხაძე.

სოფელი ღამით.

კარგა ხანია ივახშმა მთვარემ.
მთებმა ცას პირი უყო მუდარით.
ძროხებმა ცური ჩამოიღვარეს,
ქათმებმაც ნახეს დასაბუდარი.

სოფლის მყუდრო ცას შემოეგარსა
გაღიმებული ვარსკვლავთა ჯარი.
ძაღლის ყეფაც კი არ ისმის არსად,
სოფლის შუკებს რო ასე აჯავრებს.

ღამე ინახავს დღისთვის იარებს,
უდაბურებას სტირის მიდორი.
ჩვენი მძაფრი და გიჟი მდინარე
მიიზლაზნება როგორღაც მდორედ.

ირგვლივ სიჩუმე შემოიფარჩა.
ყვავი დამშვიდდა ამაყ მუხაზე...
პირდაბანილი მთვარე გადარჩა
და სველ მიწაზე ჩრდილი მოხაზა.

ლამაზი სერი ცისფერ ღაწვება
ჩრდილთა მანტიით ჩამოიბინდა.
ღამის ნიავი სუსტად აწვება
გადარაზულებს კარებს შიგნიდან.

ტყეში შეშისთვის წამოსულ პავლეს
შეაგვიანდა შინისკენ თურმე
და ყაჩაღივით დათოვილ ჰავლებს.
ეალერსება ჭრიალი ურმის.

მის ჯალაბობას ძოუთმენელად
კართან კისერი წამოუწვდია,
ოდას შეაკრთობს მოხუცის ნველა.
და ტყეში წასულს ასე უცდიან.

მურიამ ჭიშკარს შეჰყეფა უცებ:
თვალი გასტყორცნეს შარას ხვირიანს.
ღიმილი მოსდით ტუჩზე მოხუცებს,
„მამა მოვიდა“—ბავშნი ყვირიან.

უკანასკნელად ამა ოჯახშიც
დასაძინებლად მილაგდებიან...
სადღაც ნესტიან მუხის ბოჯახში
სძინავს ჩიტუნას ლამაზ ფრთებიანს.

ბ ე ნ ა.

აჭარისტანი.

შენ გამოცვლილხარ, აჭარისტანო,
ვიმოგიცვლია ძველი ფარაჯი,
ბათომის ქურქიც წითლად შეცვლილა,
ხულო დაგცქერის, როგორც დარაჯი.

აჭარის-წყალი ნაპირს არა შლის,
არც იღებება მშრომელთა სისხლით,
ქედა ქობულეთს ეალერსება,
„ბარ-ცხანა“ დაგცქერს ჯავშან მწვერვალით.

ჩაქვი ციხისძირს აწონებს ბაღებს,
პლატანციებით შემოსილ გორებს,
კინტრიში ეხლა უფრო დამშვიდდა,
რადგან ქვის კლდეებს ის ველარ ანგრევს.

ჩოლოქზედ ხიდე გამოუცვალეს,
უფრო კარგისა ზედ აუგიათ,
გურულ-აჭარლებს ხიდი აერთებს—
ძმობის დროშები აუკიდიათ.

აჭარელ ქალებს ჩადრი მოსწყინდა
თავპირზედ ახდა დაუდგენიათ,
კაცებს მეჩეთი უარ-უყვიან
მის ნაცვლათ კლუბი უხშირებიათ.

წითელი საბჭო თურმე ხშირ-ხშირად
ბჭობას მართავდა სოლის საშენათ.
დღეს კი სოფელი არ არის ისე,
რომ ის უსკოლოდ ჩამოერჩინათ.

ვ. ტაბანელი-მახარაძე.

სოფელი დილით.

იყივლა უკვე მამალმა,
მოაწვა ღრუბლებს რიჟრაჟის ზავი,
ველარ მოასწრო ღამემ დამალვა
და მზემ მწვერვალზე ამოჰყო თავი.

დაეცა სოფელს სხივები რისხვად.
გამოიბერტყა სოფელმა ყური,
და დღის სიაში გადაირიცხა
სოფლის ჟრიალი, სოფლის ხმაური.

და ახმაურდა სოფელი ჩუმი,
სოფელი ტკბილი თავის ალერსით,
ორღობე გრძელი, ვით აბრეშუმის
ძაფი ბრეკვიალა და ალესილი.

სოფელი უხვი მდიდარ ყანებით,
სოფელი უხვი ჭვავით და ქერით,
კვერცხ მოვსილ ქათმის აკაკანებით
კლდიდან გადმომსკდარ რძისფერ ჩანჩქერით.

მთას მოეფინა გლეხთ საქონელი,
სძოვენ და სძოვენ დანამულ ბალახს,
ძირს დაცემული რქა-მუხის ხვრელი
ჩუმად ინახავს სინდიოფალას.

და გლეხი მიდის ყანაში თოხით,
მას მისდევს გოგო თავზე მანდილით,
მიდის წყაროზე სურით და დოქით,
ო! რა კარგია სოფელი დილით.

დაუ ველესი.

სოუქ-სუ!

მომიკვდა შვილი!.. შენ მოგაბარე,
შენ მოგაბარე შესანახავად.
შენს აკლდამაში მარხია იგი
ჩემი ფიქრების დასათალხავად.

და როცა მოვალ ბათომში სტუმრად,
ხშირად ვნახულობ მის სასაფლაოს.
კრძალვით დავეძებ მის სახეს ფერმკრთალს...
დავეძებ, მაგრამ უქმად, ამაოდ.

გავირინდები მწარე განცდებით,
წამიღებს ფიქრი სასაფლაოსი,
გარდავიქნები მეტყველი მუნჯად,
დამეუფლება ტანჯვის ქაოსი.

უცებ მოვწყდები ამ ქვეყნის ძრახვებს
ყოფნის საკითხი დაჩრდილავს გრძნობას...
ოჰ, ამ დროს, ამ დროს როგორ გარკვევით
ვგრძნობ ჩემი თავის არარაობას!

საღამოს ჟამი დაჭკრავს თუ არა
მოვეშზხდები წამოსასვლელად.—
დამწყდება გული, თვალები მიქრის
დამარხულ შვილის გამოსაწვევად!

ოი, სოუქ-სუ, სოუქ-სუ ჩემო,
ბათომის ახლო ამაყად მდგარო,
მოსიყვარულევ ყველა ხალხისა,
მაგრამ პირქუშო—დაუდეგარო!..

ხომ იცი ჩემი პირველი შვილი
შენ მოგაბარე შესანახავად.
შენს აკლდამაში მარხია იგი,
ჩემი ფიქრების დასათალხავად!

და ნუ, ნუ მიწყენ თუ რომ მე ხშირად,
მოვიდე გკითხო მისი ამბავი,—
შენიჭირიმე „სოუქ-სუ“ ჩემო,
გებარებოდეს იმისი თავი.

დ. ჭანჭათელი.

იუმორისტული განყოფილება.

მუშკოპის ფევრის სიმღერა.

მუშკოპი ვვაძლევს ორდერს,
მაღაზიაში კი მანუფაკტურა
არ იშოვება.

მუშკორის შენიშვნიდან.



ეს მითხარით—მე ვერ მივხვდი
და იქნებ თქვენ მითხრათ რამე
მუშკოპის წინ გავათენე
ორი დღე და ორი ღამე,
მაგრამ ფართალს ვერ ვეღირსე
ვერა ძმაო, ვერა, ვერა...
და ამიტომ გადავსწყვიტე
ბლუზა „ჩეკით“ შემეკერა.
ორდერს „ჩეკი“ მივაწებე,
„ჩეკს“ ორდერი, ძირი ძირსა...
აი, ბლუზაც გამოვიდა
ჩერქეზული ყაიდისა.
მუშკოპი მე მაინც მიყვარს
უნდა გითხრათ მართალიო,
დღეს ნოქარმა მითხრა ჩუმათ:
ხვალ მოგვივა ფართალიო.

მუშკოპელი თაგვი.

მუშკორთა კრება

მეგობრული ანგარიში

იანვრის ბოლო რიცხვში
მუშკორთა შესდგა კრება,
რადგანაც ასქ იყო
ჩვენი სურვილი, ნება.
კრებას დაესწრო ყველა
მუშკორი რიცხვით სამი
1 მაგიდა გძელი,
5 ბამბუკის სკამი.
ქაღალდიც ბლომათ ეწყო
იქ პაწა მაგიდაზე.
სიწყნარე ჩამოვარდა
თავმჯდომარისა ხმაზე.
სიტყვა მიეცა ერთ სკამს
ჩინეთის ავს და კარგზე,
წარმოსთქვა სიტყვა ვრცელი
იქაურ ცოცხალ მკვდარზე.
ტაში დაუკრეს სხვებმაც
დათავდა მით კამათი,
რომ დაიშალა კრება
საათის იყო ათი.
არ მოსჩანდა აქ კიკნაძე
ენა-მეტყველი, მჭრელი
მუშკორი გამოცდილი,
ჩემს ქალამანზე ძველი.
არც „ყუმელი“ ჩნდა არსად,
არც „ჟორჟიკ“ და არც „ხვიტი“,
არც გოდუაძე ჩვენი
და არც ფიფია ცქვიტი.
თრმაც კი ძილს წაეღო
არსად სჩნდა რეპორტიორი,
კრებას დაესწრო ბლომათ
„იუნკორ“ და „პინკორი“.
ქუთათელაძე კოტე—
არ იყო მდივანი თვით,
მარტოკა იჯდა სკამზე
იქ გუგუშვილი დავით.
ამინდი კარგი იყო,
ქვემოდან ქროდა ქარი
და მოდიოდა უხვად
ზეციდან წვიმის ჯარი.
მაგიდა რედაკტორის
იყურებოდა ობლად
და ნუცუბიძე გრიშა
კვლავ წასულიყო სოფლად.
კალათი სავსე იყო
მუშკორთა წერილებით,
ისე ვით სანტრანია
ცხენის და ხარის ძვლებით
და მოწყენილი ფიქრობდა
მუშკორი პ. რმენ ლორია:
ამ ჩემ დაბრაკულ წერილებს
ვით იტევს ეს გოდორია!

პ. ობოლი.

გავანთავისუფლოთ ქალები!

ჩემისთანა ერთგული საბჭოთა ხელისუფლებას არავინ ყავს. როდესაც ყოფილ მენშევიკობია იყო შოდაში, ყველაზე გვიან მე მოვაწერე ხელი... რომ დავრწმუნებული-ვიყავი: ამ ხელის მოწერაში საფრთხე ხომ არაფერია საბჭოთა ხელისუფლებისთვისთქო.

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი ერთგულებით ვეპყრობი მე პარტიის ყოველ ლოზუნგს. სამწუხაროთ ჩემი ერთგულება ყველგან ვერ სჭრის. არის ერთი ლოზუნგი, რომლის განხორციელებას არ ეღირსა საშველი.

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ საქმე ქალთა საკითხს შეეხება.

როდესაც პირველათ წამოაყენეს ქალთა გათანასწორების საკითხის პრაქტიკულათ გატარების საჭიროება—ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ მაშინაც ექვი შემეპარა. განა ასე ადვილია ქალების მოტყვილება! ქალები მაშინვე მიხვდენ, რომ მამაკაცებს სურდათ განთავისუფლება და თავიდანვე საბოტაჟი დაიწყო. აქ ხომ ზანზიბარი არაა, ან ბუშმენების ქვეყანა, რომ ქალები ყანას თოხნიდენ და მამაკაცები ყალიონს აბოლებდენ! აქ წინაღმდეგია: მამაკაცი იწურება ოფლში და ქალი კი ნებივრობს. აბა დააკვირდით ჩვენს ცხოვრებას!

კინო. სალაროს მიადგა 4 ქალი და 1 კაცი. რასაკვირველია ოთხს უფრო ადვილად შეუძლია ერთი ზედმეტი ბილეთის ყიდვა, ვიდრე ერთს ხუთისა. ყველა რომ თავისდა იყიდდეს—ყველაფერს ემჯობინება. სინამდვილეში: მამაკაცი ყიდულობს 5 ბილეთს. ვინ არის თავისუფალი? ვის სჭირდება გათანასწორება?

სასადილო. ვანგრევთ ძველ ყოფა-ცხოვრებას. ძირს სამზარეულო, გაუმარჯოს წითელ სასადილოს! რა მშვენიერი ლოზუნგებია! მაგრამ როცა დასრულდება სადილი წითელ სასადილოში, 20 სულში ერთი მამაკაცი რომ გამოერიოს, მან უნდა გადაიხადოს ყველას მაგიერ.

ოჯახში. აქ ლაპარაკიც მეტია. საბედნიეროთ უმრავლესობა ჩემს მდგომარეობაში ხართ და იცით რას ნიშნავს: თინას კალოშები, გიგლას ფეხსაცმელები, კოლას პალტო, ნავთი, შეშა და სხვადასხვა.

სად არის თანასწორობა? როდის გატარდება ცხოვრებაში, როდის გადაიჭრება ქალთა საკითხი!

ამას წინათ, როცა ამხ. ზინოვიევმა „равенство"-ს ლოზუნგი წამოაყენა კინაღამ ოპოზიციაში გადავედი, მაგრამ ბედზე მალე გავიგე, რომ ისიც მოტყვილებას მიპირებდა და ქალებზე თავის მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს. დროზე დავიხიე და ისევ პოზიციაში დავრჩი. ქალთა საკითხში პოზიცია და ოპოზიცია ერთ ტაფაში იწვის. ისევ უმრავლესობასთან ვიქნები—ერთად ჭირიც ადვილი ასატანია. მაგრამ სანამდის! ნუთუ საბჭოთა ხელისუფლება არ მიაქცევს ყურადღებას ქალთა განთავისუფლების საკითხს!

გვეყოფა ამხანაგებო, გავანთავისუფლოთ ქალები.

ს—ნი.

ახალი ლიტერატურაში.

საქართველო.

„მერცხალი".

გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი „მერცხალი" № 1—2. ჟურნალი სამი განყოფილებისგან შესდგება: პოეზია, პროზა, იდეოლოგია. ჟურნალში პოეზიაზე ძლიერათ არის მოცემული პროზა. ეს ბოლო ხანებში საერთო მოვლენაა, რაც ძლიერ სასიამოვნოა. წინეთ ხშირი იყო ჩივილი: ლექსები თავსაყარი გვაქვს, მხატვრული პროზა სუსტობს. ეხლა („მნათობი", „დარიალი" „მერცხალი" და სხვ.) აშ ნაკლს ჩვენი მწერლობა ავსებს. ქართული პროზაიკები პოეტებს უსწრებენ.

„მერცხალში" საინტერესოა კონს. ლორთქიფანიძის „გუგა როგავა", პოლუმორდვინოვი (პროზა). ლექსებში—ნ. ზომლეთელი და პ. სამსონიძე.

მესამე განყოფილებაში მ. ბუაჩიძე და შ. რადიანის წერილებია ერთ თემაზე: პროლეტარული ხელოვნება. წერილები საინტერესოა. სამწუხაროთ ისეთი მძიმე ენით არის ნაწერი და უცხო სიტყვებით დატვირთული (გასაკუთრებით ბუაჩიძის წერილი), რომ საშვალო მკითხველსაც გაუჭირდება წაკითხვა. ეს კი ნაკლია.

ჟურნალი სუფთად არის გამოცემული, ასზე მეტი გვერდი, ღირს ერთი მანეთი.

ნარი.

ჰოლა ლომთათიძე.

ჩვენში ჰოლა ლომთათიძეს ყველა იცნობდა. მაგრამ იცნობდა პოლიტიკურ მოღვაწეს, დეპუტატ ლომთათიძეს, რომელიც ციხეში დაალპო თვითმყრობელობამ. ჰოლა ყველას უყვარდა. იგი იყო ამის ღირსი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. მაგრამ არანაკლებ ღირებულებას წარმოადგენს ჰოლა, როგორც შემომქმედი, ხელოვანი. ამ მხრით კი ჰოლას ბევრი ვერ იცნობდა. მხოლოდ დიდი რევოლიუციის შემდეგ გარდა შესაძლებელი მისი ნაწერების მზეზე გამოფენა. გამოვიდა მისი ნაწერების კრებული. ლიტერატურა კი მის შესახებ ჯერ მცირეა. ამიტომ ყოველი ახალი თქმა ყურადღებას იპყრობს. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ყოველ ახალ წიგნს, რომელიც გაშლის საყვარელ ჰოლას ფართო მკითხველ საზოგადოების წინაშე. ასეთია ი. მანწკავას და ს. რემონიძის წიგნაკი („გენათლების" გამოცემა, ფასი 20 კაპ.) „ჰოლა ლომთათიძე", სადაც ავ-

ტორები დიდი სიყვარულით მოგვითხრობენ ჭოლას შემოქმედების შესახებ. ეს წიგნაკი ფართეთ უნდა გავრცელდეს მუშათა წრეებში.

—ელი.

ქართული ანდაზები.

15 წელი უგროვებია პატივცემულ ლევ. მეტრეველს ქართული ანდაზები, უგროვებია განსაკუთრებული სიყვარულით, ფაქიზი გრძნობით და დიდძალი თვალმარგალიტი შეუკრიბავს. ეხლა ეს განძი ქართული ენისათვის ცალკე წიგნაკათ გამოვიდა.

„ქართული ანდაზები—ეს მოკრიალებული სარკეა, რომლის სიღრმიდანაც გამოიცქირება ჩვენი ერის ხანგრძლივობა და ცხოვრების გრდემლზე გამოკვერილი მისი სიბრძნეთა სიბრძნე.

ჩაუკვირდით ყოველ ანდაზას, შაენათესავეთ იმის სულს და მაშინ მიხვდებით, თუ რამდენი ჩაფიქრებული საუკუნე ღაღადებს იმათ გამოთქმაში, იმათ სიბრძნეში“.

ასეთი წინათქმას უძღვნის თავის წიგნს ლევ. მეტრეველი. და მართლაც რა სიმდიდრეა ენის, რა გამოთქმები, რა ენა-კვიმატობა. „განა შეიძლება ისე ქართული დარბაისლური საუბარი, რომ შიგ მოხდენილათ ანდაზა არ ჩაურიოთო“?—კითხულობს ლ. მეტრეველი. სამწუხაროთ ეხლა საუბარში უცხო მძიმე, ხშირად სრულიად ზედმეტი სიტყვა სცვლის კვიმატ ანდაზას. ლევ. მეტრეველის წიგნაკი უკვე სერიოზული გაბრძოლებაა ამ ფრონტზე. ქართული ენის სიმდიდრისათვის, მისი დახვეწისათვის (სხვას რომ თავი დავანებოთ) დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წიგნაკს. „ქართული ანდაზები“ უნდა შეიძინოს ყოველმა ქართულის მცოდნემ.

წიგნი შეიცავს 112 გვ. და ფასობს ერთ მან.

ნეკგ.

შაურიანი წიგნაკი.

ქართული წიგნი ძვირი ჯდება **და** ძვირათაც იყიდება. რუსული წიგნი უფრო იაფია. აქ დამნაშავეა ტირაჟი, როცა ქართველ მკითხველთა რიცხვი გაიზრდება და ყოველი გამოცემა დაიბეჭდება ათი ათასობით; მაშინ წიგნიც გაიაფდება. ეს გამართლება მდგომარეობას, რასაკვირველია, არ სცვლის და როცა იაფ წიგნს ნახავ ბაზარზე—გიამება.

სამწუხაროთ არც იაფობაა ხშირათ სასიამოვნო. აი დათიკო ღოღობერიძის წიგნაკი „საახალწლო“. ეს წიგნაკი შაური ღირს და ალბათ ყოველი მშრომელი ყიდულობს (მანეთიანი წიგნის ყიდვა უჭირს). ხარჯავს შაურს. შაურმა თქვენი ჯირი წაიღოს, მაგრამ ზიანს აყენებს თავის ტვინს უკვე მანეთისას. ეს „საახალწლო“—გაუგებრობაა. ასეთი წიგნაკი უნდა იკრძალებოდეს. აბდა-უბდის აკრძალვა სრულიად არ ნიშნავს პრესის თავისუფლების შეკვეცას. ეს იქნება მხოლოდ ანტისანიტარული ზომების მიღება.

ნეკო.

„დროული“ № 2.

ფუტურისტების გაზეთის „დროულის“ მეორე ნომერი უფრო საინტერესოა ვიდრე პირველი. ლექსები, რასაკვირველია, ჩვეულებრივი ფუტურისტული შაბლონი. ყურადღების ღირსია წერილები: წლიური ანგარიში, თავის ქებას გვერდი აუარეთ, ხოლო ფირმიან მწერლების სიჩუმე (საბოტაჟი გაზეთის თქმით) სამართლიანათ არის აღნიშნული. ს. ჩიქოვანის წერილში „ქართული ლიტერატურის კლასიფიკაციისათვის“ საინტერესოა სკოლიო, სადაც ს. ჩიქოვანი აღიარებს, რომ ფუტურიზმი არ არის მიმართულება, რომელიც შკოლებს შიგნით იტევს, არამედ შკოლა. ამაში დარწმუნებულა ს. ჩიქოვანი ერთი წლის დაკვირვების შემდეგ. ჩვენი ღრმა რწმენით ს. ჩიქოვანი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, თუ კიდევ დაუკვირდება ფუტურიზმს, დარწმუნდება, რომ იგი შკოლაა, რომელსაც ნიადაგი არ აქვს და ფუტურისტული ლექსების წერა ტყუილათ დროს დაკარგვაა.

დაგვიანებული ჟანგიზმი.

ბათომში გამოვიდა გაზეთის დამაგვარი (ფორმით) ლექსების კრებული „დათა თაქთაქიძე“. ეს თვით ახალგაზდა პოეტის სახელი და გვარია. რას იძლევა ეს ერთი ფურცელი ქაღალდი, რომელიც 20 კაპ. ღირს?—არაფერს. ლექსები რომლისაგან ზოგი საკმაოდ გაუმართავია, ყანწელების და ზოგან გალ. ტაბიძის გადამღერებაა. თაქთაქიძეს ბააგვიანდა. ის რომ 1914—15 წელში გამოსულიყო ასეთ ლექსებით ყანწელები ჰენიოსათ გამოაცხადებდენ. დღეს ამ „მისტიურ, სიმბოლურ, ურბანულ“ და სხვა ყაიდის მოტივებს თვით ყანწელებიც გაურბიან. თაქთაქიძეს ბააგვიანდა ათიოდე წლით. თვით მისი გამოსვლის ფორმა ანათესავებს მას გადიდების მანიაკებთან, რომლებიც ეხლა თვითონაც უარყოფენ ასეთ გზას. ჩვენი რჩევა ამხ. თაქთაქიძეს: თავის თავზე ნაკლები ფიქრი, ხელოვნების მეტი შესწავლა, რევოლიუციის სწორი შეთვისება. ვერც ერთი მწერალი ვერ გამართავს წელს, რაც უნდა ნიჭიერი იყოს იგი, თუ რევოლიუცია ვერ შეისისხლხორცა, თუ ახალ ცხოვრებას ალღო ვერ აუღო. „შეშლილი ქალაქი“ ძველის უნიჭო ვადაღერებაა. ამხ. თაქთაქიძეს თუ უნდა გამარჯვება მოსძებნოს ახალი, უფრო ჯანსაღი გზები.

ნ—ი.

ბარიკადები ბათომში.

პარტისტის გამოცემით გამოვიდა ბათომში 1905 წლის შესახებ საინტერესო წიგნი „ბარიკადები ბათომში“. წიგნი წარმოადგენს 1905 წლის ისტორიის მასალებს, სადაც ქრონოლოგიური წესით ჩამოთვლილია მაშინდელი ამბები, იქვე მოყვანილია მაშინდელი დროის საბუთები (პროკლამაციები, ბრძანებები და სხვ.) და მოთავსებულია დიდძალი მოგონებები. წიგნის პირველი ნაწილი დამუშავებულია ამხ. ს. ყუფარაძის მიერ. წიგნი დიდ ინტერესს წარმოადგენს 1905 წლის რევოლიუციის შესასწავლად და ყოველ მუშას უნდა ქონდეს იგი.

კანი.

ბათომის ნავსადგური

ბათომის ნავსადგური თავისი გეოგრაფიულ მდგომარეობით და ბუნებრივ შესაძლებლობით ერთი საუკეთესო ნავსადგურია შავზღვაზე. ამიტომ გახდა ბათომი ევროპისა და ცენტრალ. აზიის შემაერთებელ პუნკტათ. ბათომის ამგვარ მდგომარეობამ გავლენა იქონია ნავსადგურზე, რომელიც თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა და საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგურათ გახდა.



გემის შემოსვლა ბათომის ნავსადგურში.

ევროპის ომის და მის შემდეგ ოკუპაციურმა რეჟიმმა შეაჩერა ბათომის ნავსადგურის ზრდა. უმთავრესი საექსპორტო საქონელი—ნავთპროდუქტები ომის დროს სრულიად არ გადიოდა. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გახდა შესაძლებელი ბათომის ნავსადგურის აღდგენა.

ზღვის ძირის გაწმენდა.

აქ ორი მხარე უნდა აღვნიშნოთ. ერთის მხრით საჭირო იყო ნავსადგურის შეკეთება, ათეული წლებში დანგრეულის, მოუვლელი სანაპიროების აღდგენა. მაგრამ აღმშენობლობითი მუშაობის წარმოება, რაც დიდ თანხას ითხოვს, შეიძლება მხოლოდ მაშინ თუ ნავსადგურს საკუთარი შემოსავალი ექნებოდა, რადგან ნავსადგურის სამართველო სამეურნეო ანგარიშზე იქნა გადაყვანილი.

ამ მხრით ყველა წლებზე წინ სდგას გასული სამეურნეო წელი, როცა ერთის მხრით საგრძნობლად გაიზარდა ტვირთბრუნვა, მაშასადამე შემოსავალმა იმატა და მეორეს მხრით დიდი აღმშენებლობითი მუშაობა იქნა ჩატარებული.

საილიუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგ ციფრებს.

1924-25 წელში ნავსადგურში შემოვიდა საზღვარგარეთიდან 309 გემი, საერთო მტევადობით 664.820 ტონი. წინა წელთან შედარებით მიმოსვლა გადიდდა 41 პროც., მტევადობა კი 60 პროცენტით.

ტვირთბრუნვა საგარეო ვაჭრობის მხრით უდრიდა 63.797.528 ფუთს, წინა წელში კი იყო 36.222.154 ფ. ტვირთბრუნვა გაიზარდა 67 პროცენტით.

ტვირთბრუნკა შინავაჭრობის მხრით—2.564.375 ფუთი.

აღსანიშნავია, რამ საგარეო ვაჭრობაში ექსპორტი დიდათ სჭარბობს იმპორტს. ექსპორტი იყო—58.276.636 ფ. იმპორტი—5.490.892 ფ. ექსპორტის ასეთი გადაჭარბება აიხსება ნავთპროდუქტების გაზიდვით. გასულ წელს გატანილ იყო 56.902.404 ფ. ეს ციფრი ჯერ კიდევ მცირეა. ნავთპროდუქ-

ნავთსაქაჩი მილების გაყვანა.

ტების ექსპორტი ბათომის ნავსადგურით უნდა ავიდეს 300.000.000 ფუთამდე. ამ ამოცანის შესასრულებლათ ნავსადგურს მოუხდება ახალ მისადგომების აგება. ამ დარგში მუშაობა უკვე სწარმოებს. შედგენილია ნავსადგურის გაფართოების გეგმის რამდენიმე ვარიანტი. ცენტრის მიერ დამტკიცების შემდეგ დაიწყება მუშაობა.

ამ მცირე მიმოხილვიდან სჩანს, რომ ბათომის ნავსადგურს დიდი მომავალი აქვს. მისი ტვირთბრუნვა ყოველწლიურად იზრდება.

ნეკრ.

ს. ს. რ. პ.

საბჭოთა საკავშირო ფლოტის სააგენტო

ბათუმი, შმიდტის ქ. № 2.

რეგულიარული სამგზავრო საბარგო მიმოსვლა ყირიმ-კავკასიის და ყირიმ-აზოვის სანაპიროებზე.

მოდის ბათომში ყოველკვირაში ორშაბათობით და პარასკევობით.
გადის ბათომიდან ,, ორშაბათობით და შაბათობით.

საბარგო რეისები ევროპის და შორეულ აღმოსავლეთის ყველა ნავთსადგურებში.

სააგენტო იღებს შემდეგ დავალებებს:

საქონლის გაგზავნა ზღვით და რკინის გზით.

საბაჟო და სხვა ფორმალობის შესრულება სათანადო დეკლარაციების შედგენით.

საზღვარგარეთ ყველა მიმართულებებით ზღვით საქონლის გაგზავნა.

საქონლის შენახვა საკუთარ საწყობებში.

საქონლის დაზღვევა ცეცხლისა და გზაში უბედურ შემთხვევისაგან.

ყოველგვარი დავალება, რომელიც ექსპედიციასთან არის დაკავშირებული.

საკუთარი სააგენტოები რკინის გზის ყველა საკვანძო სადგურებზე და ნავთსადგურებში, როგორც საბჭოთა კავშირში ისე უცხოეთში.

საკავშირო ფლოტის წარმომადგენლობა.

მგზავრების გაგზავნა ყველა სახელმწიფოებში. უცხოეთის და საბჭოთა გემების ყველა რეისებზე ბილეთების გაყიდვა.

დავალებების მიღება სათანადო ინსტანციებში ვიზის, ვადის გაგრძელების და უცხოეთში გასამგზავრებლათ საჭირო საბუთების მიღების შესახებ.

საქართველოს სახელგამის და აჭარისტანის განათლების სახკომატის

წიგნის მაღაზია

„პროლეტარი"

(ინტერნაც. № 27, ტელეფ. 115).

აცხადებს, რომ ამ დღეებში მსურველთ დაურიგდებათ წიგნების სრული კატალოგი, სადაც ნაჩვენები იქნება ფასდაკლება ყოველგვარ ლიტერატურაზე 15 — 70%-დე.

იყიდება:

ეოველგვარი საკანცელიარიო ნივთები

ფვრილმანათ და ბითუმათ

ხელსაყრელ ფასებში.

ს. ს. რ. კ.

სახელმწიფო ბანკის

ბათუმის განყოფილება.

(ინტერნაციონალის ქუჩა, № 27).

აწარმოებს:

სალინკასო ოპერაციებს,

ოაქასუქების გასურდავებას,

აჭარისტანისათვის ბერის ქომარაკებას,

სოფლის პროდუქციის გასიდვას საბჭოთა კავშირის უმთავრეს ქალაქებში სარეალიზაციოთ,

სასესხოდასესხო ანგარიშებზე ფულის მიღებას, ფულის გადაგზავნას საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში და უცხოეთში.

ვისაც სურს პარგი და გამძლე ფეხსაცმელეგის შეძენა შეიარეთ მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ სახელოსნოეგში.

სახელოსნო

ნიკე პარანაძის

ქამოს ქუჩა № 13.

Производство ОБУВИ

ПАПАНДОПУЛО

Улица III Интернационала, № 20.

სახელოსნო

სერგო მიქაძის

ქამოს ქუჩა № 31.

სახელოსნო

ლეონ ჯიმშერიანის

ტროცკის № 5.

სახელოსნო

„პარანტია“

რამიშვილის

ტროცკის ქ. № 9.

სახელოსნო

ბორის ჩხეიძის

ბაბეგ ინტერნაციონალის ქ. № 17.

სახელოსნო

ევგენ

ხუციშვილის

ლიბკნეხტის № 24.

ფეხსაცმელეგის სახელოსნო

„პროგრეს“

ფ. კვერნაძის

ტროცკის ქ. № 18.

სახელოსნო

ამხ.

„ოლიგინალი“

ტროცკის ქ. № 18.

სახელოსნო

„ფრომა“

ლენინის ქ. № 15.

ფასი 20 კაპ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

აჭარიხტ. ცენტ: აღმასრულებელ კომიტეტის უშუალო გამგებლობაში დაარსებულია გამომცემლობა

„ფ უ ხ ა რ ა“

ბათომი, მე-3-მე ინტერნაციონალის ქ. № 13.

1. ს ა კ უ თ ა რ ი ს ტ ა მ ბ ა

სტალინის ქ. № 5.

მიიღება შეკვეთების ყოველგვარ სასტამბო სამუშაოზე: **ბროშიურები, ჟურნალები, აფიშები, ფურცლები, ბლანკები, საკანცელარიო წიგნები, ანგარიშები, ხარჯთ-აღიცხვ. და სვ.**

2. ს ა კ უ თ ა რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:

ა) ქართულ ენასე გაზეთი

„ფ უ ხ ა რ ა“

3. გამომცემლობასთან არსებობს **„სარეკლამო ბიურო“**, რომელიც ასრულებს:

ა) ყოველგვარ მხატვრულ სამუშაოს: პლაკატები, ლოზუნგები, ბაირაღები, წიგნების და ჟურნალების ყდები.

ბ) დეკორაციები მთელი მოწყობილებით.

ვ) აწყობს ქუჩებზე გაკვრას, დარიგებას და დატარებას აფიშების, ფურცლებ. და პლაკატ.

სარეკლამო ბიუროს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლება და აგრეთვე **საავერშოკო** გამონაღების აკრეფა აჭარისტანის ფარგლებში.

გამგე ს. ყუშარაძე. **ბუხგალტერი სტარიცკი.**

სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატივთა პავშირების საყურადღებოთ.

დამატებით განცხადებაზე გ. წ. 7 ოქტომბრიდან გაზეთ „ტრუდოვოი ბათომში“ და „ფუხარაში“

აჭარისტანის ფინრწმუნებული განმეორებით აცხადებს სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატივთა კავშირების საყურადღებოთ

რომ ყველა წარმოებანი და მათი გამგეობები, რომელნიც შედიან ანგარიშვალდებულ დაწესებულებებში, გარდა ისეთებისა. რომელნიც აღმოცენდენ 1925/6 წლეს 1 ნახევარში, უნდა გადაიხადონ ადგილობრივ საბჭოების სასარგებლოდ პატენტის ძირითად ღირებულებაზე 300%. ნაჩვენები 3% დამატება უნდა გადაიხადონ როგორც ადგილობრივ ანგარიშვალდებულ წარმოებებმა აგრეთვე სხვა რესპუბლიკების ანგარიშვალდებულ წარმოებათა განყოფილებებმა, მიუხედავათ იმისა იბეგრებიან ისინი ბათომში თუ ბათომის გარეთ. დამატება უნდა იქნეს შეტანილი ხაზინაში 28 თებერვლამდე ზევით ნაჩვენებ 300% დამატებები იქნება ჩათვლილი სათანაბრო გადასახადში გაწერის შემდეგ.

ფინრწმუნებულის მოადგილე ჯორბენაძე.

საგად. განყ. მმართველის მაგ. კეკელიძე.

საქმეთა მმართველი აბბასოვი.

რედაქტორი ბრ. ნუცუბიძე.

აჭარისტ. სახელმწიფო შინა ვაჭ.-მრეწვ. პოლიგ. განყოფ. მთავლიტი № 423, დაკვეთის № 2062. ტირაჟი 1000.

1926 б.
13/12

№ 3

ეკონომისტი

ფ. ბაზანაძე 1926

თბილისის
კომუნალური ბანკის
ბათომის განყოფილება.

აწარმოებს ყველა საბანკო ოპერაციებს:

მიღება თანხებისა დადებული ვადით, უვადოთ და მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვით.

ფულების გადაგზავნა და აკრედიტივების გაცემა.

ყოველგვარ საქონლის შეძენა მონდობილობით და მესამე პირთა ანგარიშით. თამასუქების განაღდება, სესხის გაცემა საქონლის, საქონლის საბუთების, თამასუქების და სხვა ვალდებულებათა გირავობით.

სესხი სარემონტო-საალმშენებლო

და

ყოველგვარი მასალების მიწოდება მსურველებზე საალმშენებლო მიზნისათვის.

განცხადება.

აჭარისტანის

ფინსასკომის საგადასასადო განყოფილების.

აჭარისტანის ფინსახკომის საგადასახადო განყოფილება ამით აცხადებს ძალ: ბათომის მცხოვრებ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ დამთავრებულია 1924/25 წლის დამატებითი სარენტო გადასახადის გაწერა სავიეე უბანში და ხირჯის ფურცლები დაურიგდა გადამხდელებს კუთვნილებისამებრ.

იმ შემთხვევაში, თუ კი 1926 წ. 15 აპრილისათვის ვადამხდელი არ მიიღებს ხარჯის ფურცელს ის მოვალეა მიაკითხოს სათანადო უბნის ფინინსპექტორს ხარჯის ფურცლის მისაღებად.

ფინრწმუნებული ხ. ქიქავა

ფინრწმუნებულის მოადგილე დ. ჯორბენაძე

მდივანი ომიაძე.

განცხადება.

აჭარისტანის
ფინსახკომის
საგადასახადო
განყოფილების.

აჭარისტანის ფინსახკომის საგადასახადო განყოფილება ამით აცხადებს დამატებითი სარენტო გადასახადის გადამხდელებთა საყურადღებოთ, რომ დამატებითი სარენტო გადასახადის შეტანის და გასაჩივრების ვადა თანახმად საძართველოს ფინსახკომის მოწერილობისა № 14028,

გაგრძელებულია:

სალარაში შეტანისა 15 მაისამდე
და გასაჩივრებისა იმავე 15 მაისამდე.

ფინრწმუნებული ხ. ქიქავა

ფინრწმუნებულის მოადგილე დ. ჯორბენაძე

მდივანი ომიაძე.

ს. ს. რ. კ.

სასულიერო საექსპორტო-საიმპორტო

საავაჭრო კანტორა

„ზაკოსტორგ"

ს.ს.რ.კ. ს.ვ.ს.კ. ა/კ. რწმუნებულის სამმართველოსთან.

ბათომის განყოფილება.

შმიდტის ქ. № 2. ტელეფ. №№ 41, 168, და 341.

სატრანზიტო ხაწყობები—ტელ. № 263 და 152.

მიიღება საქონელი შესანახად.

ვეიდულობთ ბეწვეულს.

ვაწარმოებთ ყოველგვარ

საექსპორტო-საიმპორტო

ოპერაციებს.